პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
8 ივნისი
1940 წ.
№ 130 (5831)
ფასი 10 კაპ.

გაიხსნა საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს III სესია.

გუშინ, 7 ივნისს, თავის პირველ სხდომაზე საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ ერთხმად დაამტკიცა სესიის დღის წესრიგი.

ამავე სხდომაზე სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენება საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. სესიამ მოისმინა აგრეთვე საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ნარსიას თანამოხსენება.

საქართველოს სსრ I მოწვევის უმაღლესი საბჭოს III სესია

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესიაზე. სურათზე (მარცხნიდან): საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ლოჟაში დეპუტატები კ. ნ. ჩარკვიანი, ფ. ე. მახარაძე, მ. ჯაში, ვ. ი. ეგნატაშვილი, ი. ვ. ტიულენევი და სხვ.; პრეზიდიუმში—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ნ. რ. შაშიკაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. დ. კოჩლამაზაშვილი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი გ. გ. ჯგუბურია; საქართველოს სსრ სახალხო კომისართა ლოჟაში—ვ. მ. ბაქრაძე, გ. თ. სტურუა, ა. ნ. რაფავა, გ. ი. ელისაბედაშვილი, კ. ს. ციმაკურიძე, გ. ი. კიკნაძე, ს. მ. დონაძე და სხვ.

ფოტო სტოლიაროვისა და ჩერნოვის (საქდესის ფოტოქრონიკა).

ორდენოსანი საქართველოს ბიუჯეტი

1 გუშინ თბილისში, გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია. საქართველოს რესპუბლიკის მშრომელი ხალხის წარმომადგენლები შეიკრიბნენ სესიაზე სახელმწიფო შენებლობის მორიგი ღირსშესანიშნავი საკითხების გადასაწყვეტად.

დეპუტატებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენება სესიის დღის წესრიგის პირველ საკითხზე—საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტზე და 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაზე. შემდეგ მოსმენილ იქნა საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება.

ჩვენი სახალხო მეურნეობის დიადი წარმატებანი 1938-39 წლებში გადატანილია ციფრების ზუსტ ენაზე. საქართველოს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახალხო კომისარიატების საწარმოთა საერთო პროდუქცია ორი წლის განმავლობაში გაიზარდა 118,2 მილიონი მანეთით, ანუ 1937 წელს გამოშვებულ პროდუქციასთან შედარებით 31,7 პროცენტით. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გაიზარდა კვების მრეწველობის (43,7 პროც.), მსუბუქი მრეწველობის (27 პროც.) და ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების საწარმოთა პროდუქცია. ასევე შესანიშნავი გამარჯვებებია მოპოვებული საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში.

საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტი, რომელიც საქ. სსრ სახკომსაბჭომ შეიტანა უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე დასამტკიცებლად, შედგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ ამასწინათ მიღებულ ერთიან საკავშირო ბიუჯეტთან სრული შესაბამისობით. მისი საშემოსავლო ნაწილი ნავარაუდევია 1.227.451 ათასი მანეთის რაოდენობით, რაც 68 მილიონზე მეტი მანეთით აღემატება გასული წლის ბიუჯეტით ნავარაუდევ შემოსავალს. 1940 წლის ჩვენი ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი უნდა დაჰფაროს ბრუნვის გადასახადმა (544.896 ათასი მან.) და სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ანარიცხებმა (154.903 ათასი მან.), რაც მთელი შემოსავლის 56 პროცენტზე მეტს შეადგენს.

როგორც ცნობილია, კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები უმძიმეს ტვირთად აწვება მშრომელ ხალხს, იგი თავის ძირითად წყაროდ იხდის მოსახლეობისაგან გადასახადებს. წინააღმდეგ კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტებისა, ჩვენს ბიუჯეტში მოსახლეობისაგან გადასახადებსა და გამოსაღებებს მხოლოდ მცირე როლი ენიჭება შემოსავლის სხვა წყაროებთან შედარებით.

1940 წლის ჩვენი ბიუჯეტის გასავლის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი, სახელდობრ 846.081 ათასი მანეთი განზრახულია დაიხარჯოს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე. ეს ბიუჯეტის მთელი გასავლის 68,9 პროცენტს უდრის. განათლების საქმეზე ნავარაუდევია დაიხარჯოს 575.679 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვაზე 194.696 ათასი მანეთი და ა. შ. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე მიმდინარე წელს დაიხარჯება 51.287 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე 1939 წელს.

ეს ციფრები ნათლად გვიჩვენებენ პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელ ზრუნვას, პირადად ამხანაგ **სტალინის** ზრუნვას ხალხის განათლებაზე, თვითეული საბჭოთა მოქალაქის ჯანმრთელობის დაცვაზე, მშრომელი ხალხის საერთო კეთილდღეობაზე.

სახალხო მეურნეობის დაფინანსებაზე განზრახულია დაიხარჯოს 261.581 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხების 21,3 პროცენტი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი, ავტონომიური რესპუბლიკების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტების ზრდა, რაც გათვალისწინებულია საქ. სს რესპუბლიკის ბიუჯეტით. ასე მაგალითად, აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტისათვის გათვალისწინებულია 78.784 ათასი მანეთი, აჭარის ასსრ ბიუჯეტისათვის—55.887 ათასი მანეთი და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტისათვის—31.620 ათასი მანეთი. თუ ამ რესპუბლიკათა 1940 წლის ბიუჯეტისათვის ნავარაუდევი თანხების რაოდენობას შევადარებთ 1935 წლის მათ ბიუჯეტებს, დავინახავთ, რომ აფხაზეთის ასსრ 1940 წლის ბიუჯეტი 66,8 პროცენტით აღემატება 1935 წლის ბიუჯეტს, შესაბამისად აჭარის ასსრ-ის ბიუჯეტი აღემატება 98,1 პროცენტით და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტი—154 პროცენტით.

ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი ბიუჯეტი აგებულია **ლენინურ-სტალინური** ნაციონალური პოლიტიკის ურყევ საფუძველზე. საქართველოს სს რესპუბლიკის ბიუჯეტი ნათლად მოწმობს ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დიად გამარჯვებას.

დღეს სესიის მორიგ სხდომაზე გაიხსნება კამათი ამხ. ციმაკურიძის მოხსენების ირგვლივ. ეჭვი არ არის, საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მთელი სერიოზულობით, ბოლშევიკური საქმიანობით განიხილავენ წარმოდგენილ ბიუჯეტს, ერთსულოვნად დაამტკიცებენ მას და დასახავენ პრაქტიკულ გზებს მისი წარმატებით შესრულებისათვის, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის შესრულებით საქართველოს მშრომელი ხალხი თავის წვლილს შეიტანს მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გეგმების შესრულებაში.

ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ მერკისის ჩამოსვლა მოსკოვში

7 ივნისს მოსკოვში ჩამოვიდა ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი მერკისი, რომელსაც ახლავან გენერალი რუკლაიტისი და საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ბ-ნი მაჩიულისი.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ-ნ მერკისს შეხვდნენ: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ი. ვიშინსკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. გ. დეკანოზოვი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში ამხ. ნ. გ. პოზდნიაკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ა. კ. ლისიაკი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ვ. ა. რევიაკინი, ლიტვის მისიის მთელი შემადგენლობა დესპანის ბ-ნ ნატკევიჩიუსის მეთაურობით, ლატვიის დესპანი ბ-ნი კოცინში, ესტონეთის დესპანი ბ-ნი რეი, ლიტვის გენერალი გუსტაიტისი, ლიტვის პოლკოვნიკი ლესაუსკისი.

ვაგზლის პერონი საბჭოთა კავშირისა და ლიტვის ბაირაღებით იყო მორთული. (საქდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ზ. პ. ასეევი** გაათავისუფლა კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან. (საქდესი).

საინფორმაციო ცნობა

გუშინ, 7 ივნისს, საღამოს 7 საათზე გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიხსნა საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

ლოჟებში არიან საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისრები.

სესია გახსნა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ი. დ. კოჩლამაზაშვილმა.**

ამხ. ი. დ. კოჩლამაზაშვილმა გამოაქვეყნა იმ საკითხების ნუსხა, რომლებიც შეტანილია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის განსახილველად.

დეპუტატ **კ. გ. ჭიჭინაძის** წინადადებით საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება და საქართველოს სს რესპუბლიკის 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

შეაქვს საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

2. საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

შეაქვს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

3. საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცება, რომლებიც მიღებულია საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეორე და მესამე სესიებს შორის განვლილ პერიოდში და რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს.

სესიის დღის წესრიგის პირველ საკითხზე — საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და საქართველოს სს რესპუბლიკის 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. **კ. ს. ციმაკურიძე.**

შემდეგ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ მოისმინა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **გ. ე. ნარსიას** თანამოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე.

ამით დაიხურა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის პირველი სხდომა.

წითელი არმიის უმაღლესი უფროსი შემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი წითელი არმიის უმაღლესი უფროსი შემადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

V

მიენიჭოს გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

82. პავლე არტემის-ძე **არტემიევს,**
83. ივანე ალექსანდრეს-ძე **ბოგდანოვს,**
84. ივანე ივანეს-ძე **მასლენიკოვს,**
85. ვასილ ვასილის-ძე **ოსოკინს,**
86. გრიგოლ გრიგოლის-ძე **სოკოლოვს,**
87. გრიგოლ ალექსის-ძე **სტეპანოვს.**

VI

მიენიჭოს არტილერიის გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

1. ტიმოთე ანდრიას-ძე **ბესჩასტნოვს,**
2. ნიკოლოზ თევდორეს-ძე **დროზდოვს,**
3. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **კლიჩს,**
4. სერგი ალექსანდრეს-ძე **ლებედევს,**
5. კონსტანტინე რომანის-ძე **მიშკოვს,**
6. მიხეილ არტემის-ძე **პარსეგოვს,**
7. არკადი კუზმას-ძე **სივკოვს,**
8. ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **იაკოვლევს.**

VII

მიენიჭოს ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

1. პავლე ალექსანდრეს-ძე **ალექსეევს,**
2. თევდორე კონსტანტინეს-ძე **არჟენუხინს,**
3. თევდორე ალექსის-ძე **ასტახოვს,**
4. კონსტანტინე მიხეილის-ძე **გუსევს,**
5. სერგი პროკოფის-ძე **დენისოვს,**
6. პავლე თევდორეს-ძე **ჟიგარევს,**
7. გრიგოლ პანტელეის-ძე **კრავჩენკოს,**
8. ივანე იოსების-ძე **პროსკუროვს,**
9. ევგენი საბას-ძე **პტუხინს,**
10. პეტრე ივანეს-ძე **პუმპურს,**
11. პავლე ვასილის-ძე **რიჩაგოვს,**
12. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **სამოილოვს,**
13. იაკობ ვლადიმერის-ძე **სმუშკევიჩს.**

VIII

მიენიჭოს სატანკო ჯარის გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

1. მაკარ თომას-ძე **ტერეხინს,**
2. იაკობ ნიკოლოზის-ძე **ფედორენკოს.**

IX

მიენიჭოს კავშირგაბმულობის ჯარის გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

1. ივანე ანდრიას-ძე **ნაიდენოვს,**
2. ვასილ ივანეს-ძე **უსოვს.**

X

მიენიჭოს საინჟინრო ჯარის გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

1. ალექსანდრე სიმონის-ძე **გუნდოროვს,**
2. დიმიტრი მიხეილის-ძე **კარბიშევს.**

XI

მიენიჭოს ტექნიკური ჯარის გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

1. ნიკოლოზ იუსტინეს-ძე **ტრუბეცკოის.**

XII

მიენიჭოს საინტენდანტო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის სახელწოდება:

1. ანდრია ვასილის-ძე **ხრულევს.**

XIII

მიენიჭოს გენერალ-მაიორის სახელწოდება:

1. პავლე ილიანეს-ძე **აბრამიძეს,**
2. მანზაქირ **აბსალიამოვს,**
3. იაკობ ალექსანდრეს-ძე **ავაკუმოვს,**
4. დიმიტრი ივანეს-ძე **ავერკინს,**
5. ქრისტეფორე ნიკოლოზის-ძე **ალავერდოვს,**
6. პეტრე ალექსის-ძე **ალექსანდროვს,**
7. ივანე ივანეს-ძე **ალექსეევს,**
8. მიხეილ ვასილის-ძე **ალექსეევს,**
9. პლატონ ნიკოლოზის-ძე **ალექსეევს,**
10. ფილიპე თევდორეს-ძე **ალიაბუშევს,**
11. დიმიტრი ივანეს-ძე **ანდრეევს,**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 6 ივნისის ნომერში).

სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფროსი შემადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფროსი შემადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

III

მიენიჭოს კონტრ-ადმირალის სახელწოდება:

8. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბოლოგოვს.**
9. ვიქტორ კონსტანტინეს-ძე **ვასილიევს.**
10. პეტრე ნიკიფორეს-ძე **ვასიუნინს.**
11. ლევ ანატოლის-ძე **ვლადიმირსკის.**
12. სერგეი მიხეილის-ძე **ვორობიოვს.**
13. არსენ გრიგოლის-ძე **გოლოვკოს.**
14. ივანე ივანეს-ძე **გრენს.**
15. ივანე ნიკოლოზის-ძე **დმიტრიევს.**
16. მიხეილ მიხეილის-ძე **დოლინინს.**
17. ვალენტინ პეტრეს-ძე **დროზდს.**
18. ვსევოლოდ ევგენის-ძე **ეგორიევს.**
19. გაბრიელ ვასილის-ძე **ჟუკოვს.**
20. ალექსი ტიმოთეს-ძე **ზაოსტროვცევს.**
21. ნიკოლოზ ფილიპეს-ძე **ზაიაცს.**
22. ვადიმ ივანეს-ძე **ივანოვს.**
23. ალექსანდრე ვალენტინის-ძე **კონნს.**
24. კონსტანტინე იულიანეს-ძე **კორენევს.**
25. ფოტი ივანეს-ძე **კრილოვს.**
26. აპოლონ ალექსანდრეს-ძე **კუზნეცოვს.**
27. ილია დანიელის-ძე **კულიშოვს.**
28. სტეფანე გრიგოლის-ძე **კუჩეროვს.**
29. იაკობ იაკობის-ძე **ლაპუშკინს.**
30. გიორგი იოსების-ძე **მიხალკოვს.**
31. მიხეილ ზაქარიას-ძე **მოსკალენკოს.**
32. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **ნესვიცკის.**
33. ტიხონ ანდრიას-ძე **ნოვიკოვს.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხილე 6 ივნისის ნომერში).

სესიის სხდომის დარბაზიდან

გრიბოედოვის სახელობის თეატრის ლამაზად მორთულ დარბაზში, სადაც მუშაობას იწყებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია, 7 ივნისს, საღამოს 7 საათისათვის თავი მოიყარეს საქართველოს ხალხის რჩეულებმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა. აქ მოვიდნენ საქვეყნოდ ცნობილი ჩვენი სტახანოველები, სოციალისტური მრეწველობისა და მიწათმოქმედების ნოვატორები, უძლეველი წითელი არმიის წარმომადგენლები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, ქართველი ხალხის საამაყო შვილები, რომლებიც უფლებამოსილი არიან ჰმართონ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო.

წითლად მორთულ, დიდი **ლენინისა** და დიდი **სტალინის**, ქართველი ხალხის საამაყო შვილის — ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** პორტრეტებით და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშით დამშვენებულ სცენაზე აღმართულია სესიის თავმჯდომარეთა მაგიდა. წინ, ავანსცენაზე აღმართულ ტრიბუნის ორივე მხარეს ლოჟებში გამოჩნდნენ ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, მ. ჯაში, ფ. მახარაძე, გ. სტურუა, ი. ტიულენევი, ა. რაფავა, ვ. ეგნატაშვილი, ი. ჯავახიშვილი, ა. ჯორბენაძე, ვ. ხუბაევი, მ. დელბა, გ. ნარსია, ს. ბაზანდარაშვილი, შ. ჭანუყვაძე, ი. დევსურაშვილი, ვ. მაზიაშვილი, დ. დავითაძე, გ. საჯაია, შ. ოვესიანი, გ. კიკნაძე, ს. დონაძე, გ. ჯაბუა, ლ. რუხაძე, გ. გორდეზიანი, ი. მონიავა, გ. ელისაბედაშვილი, ა. ბუხნიკაშვილი, პ. როველაძე, ა. ჩხეტიანი, ი. წიკლაური, კ. ციმაკურიძე, ნ. გიორგაძე და ბ. გოგუა.**

დარბაზი ჭივსო დეპუტატებით, ამფითეატრიც აივსო სესიის სხდომაზე მოწვეულ სტუმრებით—თბილისის საწარმო-დაწესებულებების მოწინავე ადამიანებით.

სესიის თავმჯდომარეთა მაგიდასთან ადგილები დაიკავეს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **ი. კოჩლამაზაშვილმა** და თავმჯდომარის მოადგილეებმა ამხ. **ნ. შაშიკაშვილმა და გ. ჯგუბურიამ.**

თავმჯდომარემ ამხ. ი. კოჩლამაზაშვილმა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია გახსნილად გამოაცხადა. დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ სესიის გახსნას. ეს ტაში გამოხატავდა საქართველოს ხალხის და მის რჩეულთა უსაზღვრო სიყვარულს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემქმნელის ამხანაგ **სტალინისადმი.**

თავმჯდომარე ამხ. ი. კოჩლამაზაშვილი დასამტკიცებლად აქვეყნებს სესიის მუშაობის დღის წესრიგს. დეპუტატ **კ. ჭიჭინაძის** წინადადებით სესია ერთხმად ამტკიცებს წარმოდგენილ დღის წესრიგს. სესია ერთხმად ამტკიცებს აგრეთვე დეპუტატ **ა. კვაჭაძის** წინადადებას სესიის მუშაობის რეგლამენტის შესახებ.

დღის წესრიგის პირველი საკითხის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარს ამხ. **კ. ციმაკურიძეს.** საქართველოს სსრ 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების და 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მასალებსა და ციფრებს დეპუტატები უკვე გაცნობილი არიან. მათ ხელთ აქვთ ყველა ციფრი, ყველა ტაბულა, ყველა ცნობა გასული წლების ბიუჯეტის შესრულებისა და მიმდინარე 1940 წლის ბიუჯეტის დასახასიათებლად. ამიტომ არის, რომ მომხსენებელი ამხ. კ. ციმაკურიძე ჩერდება უმთავრესად ბიუჯეტის ანალიზზე, თვითეული ციფრის, ბიუჯეტის თვითეული მაჩვენებლის წარმოშობის საკითხზე.

1939 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შესრულება გვაძლევს ვეებერთელა თანხას — 1.218.784.000 მანეთს. წლევანდელი ბიუჯეტი კიდევ უფრო დიდია. იგი 1.227.451.000 მანეთს უდრის.

მომხსენებლის მიერ დემონსტრირებულმა ციფრებმა გადაგვიშალეს საქართველოს სახალხო მეურნეობის აყვავება-აღორძინების ნათელი სურათი. და როდესაც მომხსენებელი ლაპარაკობდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ბრწყინვალე მიღწევებზე და კიდევ უფრო ბრწყინვალე პერსპექტივებზე, მისი სიტყვები იფარებოდა მთელი დარბაზის ტაშის გრიალით.

ამხ. ციმაკურიძემ მოხსენება დაამთავრა. თავმჯდომარემ ათწუთიანი შესვენება გამოაცხადა.

სესიის სხდომის განახლებისას საბიუჯეტო კომისიის სახელით თანამოხსენებით გამოვიდა დეპუტატი **გ. ნარსია.**

ამით დამთავრდა სესიის პირველი სხდომა.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის სხდომის შესახებ

დღეს, 8 ივნისს, სესიის სხდომა შესდგება დღის 11 საათზე გრიბოედოვის სახელობის თეატრში.

დღის წესრიგში დგას კამათი საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გარშემო. (საქდესი).

„კომუნისტის“ 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

მოსკოვი, (ტელეგრაფით საკ. კორესპონდენტისაგან). 5 ივნისს საღამოს, საერთო საკოლმეურნეო კლუბში, განყოფილებაში „ახალი სოფლად“ შესდგა „კომუნისტის“ 20 წლისთავისადმი მიძღვნილი კრება. ამ საიუბილეო საღამოზე თავი მოიყარეს გამოფენის მონაწილეთა ჯგუფებმა ცხაკაიას და მახარაძის რაიონებიდან, აზერბაიჯანის, უკრაინისა და დაღისტნის პრესის მუშაკებმა, მოსკოვის გაზეთების წარმომადგენლებმა. კრება გახსნა პრესის პავილიონის დირექტორმა ამხ. კუპჩიკმა. პრეზიდიუმში არჩეულთა შორის არის ჩაის წარჩინებული მკრეფავი ამხ. შეროზია. კრებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენელი სსრკ მთავრობასთან ამხ. ვ. ბუჯიაშვილი. ფაქტებით და მაგალითებით სავსე სიტყვაში მან დაახასიათა გაზეთ „კომუნისტის“ მიერ განვლილი გზა. მოხსენების ნაწილი დაეთმო „კომუნისტის“ მუშაობას სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის დარგში, გამოფენისათვის მოსამზადებლად. ამხ. ბუჯიაშვილის საბოლოო სიტყვა, სადაც ნათქვამი იყო ძლევამოსილი კომუნისტური პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის—ამხანაგ **სტალინის** შესახებ, დაჰფარა ყველა დამსწრეთა ხანგრძლივმა ტაშმა.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროპაგანდის სამმართველოს წარმომადგენელი ამხ. ელიაშევიჩი. მან გამოსთქვა რწმენა, რომ „კომუნისტის“ მუშაკები მომავალშიაც შეინახავენ თოფისწამალს მშრალად და კალამს გამახვილებულს. გაზეთისათვის წარმატების მხურვალე სურვილებით იყო აღსავსე ცხაკაიას რაიონის აგრონომ ამხ. ი. კატუკიას სიტყვა. გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ წარმომადგენელმა ამხ. ხმელნიცკიმ დამსწრეთ უამბო „კომუნისტის“ გამოცდილების შესახებ, აღნიშნა გაზეთის მნიშვნელოვანი ზრდა უკანასკნელი წლების მანძილზე.

კრებამ მიიღო შემდეგი მისალმება: „კომუნისტმა“ სასახელოდ განვლო თავისი 20 წლის გზა, ნამდვილად დაიმსახურა ქართველი ხალხის სიყვარული. „კომუნისტი“ წარმოადგენს ბასრ, მომქმედ იარაღს ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელში. ჩვენ ბოლშევიკურ სალამს ვუგზავნით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე სახელოვან გაზეთ „კომუნისტს“ და სულით და გულით ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს მის სახელოვან გზაზე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და საქართველოს სსრ 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

დიდი ხანი არ არის, რაც დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-6 სესიის მუშაობა. სესიის მიერ შესანიშნავი ერთსულოვნებით მიღებული გადაწყვეტილებანი უზრუნველჰყოფენ ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას.

გამოხატა რა 183-მილიონიანი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი ნებისყოფა, სესიამ ერთხმად მოიწონა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

საბჭოთა ქვეყნის სტალინური საგარეო პოლიტიკა სიბრძნის, გამჭრიახობისა და მშვიდობიანობის პოლიტიკაა.

ლენინ-სტალინის გმირული პარტია, საბჭოთა მთავრობა და დიდი **სტალინი** ყოველდღიურად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის შეუჩერებელი ამაღლებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უშიშროებისა და მისი ძლიერების განმტკიცებისათვის.

ხასანის ტბასთან, მდინარე ხალხინ-გოლზე, დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში და თეთრფინელებთან წარმოებულ გმირულ ბრძოლებში ძლევამოსილმა წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა თვალსაჩინო და გამანადგურებელი გაკვეთილი მისცეს ომის ყველა ჯურის გამჩაღებლებს.

ფინეთის სამხედრო პლაცდარმი, მიუვალად აღიარებულ მანერჰაიმის ხაზით, რომელიც შენდებოდა მრავალი წლის მანძილზე მრავალი იმპერიალისტური ქვეყნის სახსრებისა და სამხედრო ტექნიკის გამოყენებით და საუკეთესო სპეციალისტების დახმარებით, საბჭოთა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე — კარელიის ყელზე—ნაცარტუტად იქნა ქცეული ძლევამოსილი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ.

წითელმა მებრძოლებმა, რომლებიც დიდი სტალინის სახელით მიეშურებოდნენ ბრძოლაში, დაამტკიცეს, რომ საბჭოთა ხალხისათვის, როდესაც საქმე სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართა დაცვას ეხება, არ არსებობს არავითარი მიუვალი ციხე-სიმაგრე და ძალა.

თეთრფინელებთან ბრძოლაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება ამავე დროს წარმოადგენს ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა გაერთიანებული ძალების დამარცხებას.

უძლეველი საბჭოთა მთავრობის მეთაურმა — ამხანაგმა **მოლოტოვმა** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-6 სესიაზე აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროში მომხდარმა ამბებმა ერთხელ კიდევ მოგვაგონეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის და წითელი არმიის ძლიერების შემდგომი, განუხრელი განმტკიცების აუცილებლობა.

საბჭოთა კავშირის ხალხთა შემოქმედებითი შრომა და მშვიდობიანობა, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უშიშროება მჭიდროდ არის დაკავშირებული წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ფლოტების საბრძოლო მზადყოფნის შეუჩერებელ განმტკიცებასთან.

1940 წლის ბიუჯეტით წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემდგომი განმტკიცებისათვის დაიხარჯება 57 მილიარდი მანეთი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის განმტკიცებისა და მშრომელთა მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფის საქმე მუდამ დგას **ლენინ-სტალინის** პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში **(ხანგრძლივი ტაში).**

ქვეყნის თავდაცვისათვის 1940 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულმა ღონისძიებებმა გამოიწვიეს საბჭოთა პატრიოტიზმის ახალი, მძლავრი აღმავლობა და კიდევ უფრო დარაზმეს საბჭოთა ხალხი საბჭოთა მთავრობის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მშობლიური **სტალინის** გარშემო სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი, ჯერ არნახული მიღწევებისათვის საბრძოლველად.

კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები თითქმის მთლიანად გასამხედროებულია და სამხედრო ხარჯები ბიუჯეტის 70-80 და მეტ პროცენტს შეადგენენ. საბჭოთა ქვეყნის ბიუჯეტით კი ხარჯები სულ სხვა მიმართულებას იღებენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ 1940 წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტი გამოსახავს სოციალისტური სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდას და კულტურის აყვავებას, სოციალიზმის ქვეყნის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

57 მილიარდ მანეთზე მეტი იქნება დაბანდებული სახალხო მეურნეობაში, 43 მილიარდამდე გათვალისწინებულია კულტურული ღონისძიებებისათვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის 1940 წლის ბიუჯეტი, შედგენილი სახალხო-სამეურნეო გეგმასთან ზუსტი შესაბამისობით, უზრუნველჰყოფს 1939 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის ზრდას 13,6 პროც.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში სტალინური ხუთწლედების განმავლობაში მიღწეული წარმატებანი უზრუნველჰყოფენ დიადი საბჭოთა კავშირის საფინანსო ძლიერების შემდგომ წარმატებებს. საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია 183.953 მილიონი მანეთის რაოდენობით, ასახულია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების გიგანტური ზრდა და ის დიადი გამარჯვებები, რომლებიც მოპოვებულია ბოლშევიკური პარტიისა და თანამედროვე კაცობრიობის უდიდესი ადამიანის, ხალხთა მასწავლებლისა და ბელადის, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით. **(დარბაზში ოვაცია ჰქუხს. ყველანი ფეხზე დგებიან).**

I. საქართველოს სსრ 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თქვენს დასამტკიცებლად შემოაქვს 1940 წლის ბიუჯეტი და ანგარიში 1938 და 1939 წლების ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა მიიღეს წერილობითი ანგარიში 1938 და 1939 წლების ბიუჯეტების შესრულების შესახებ. ამიტომ მე შევეხები ბიუჯეტის შესრულების მხოლოდ ძირითად საკითხებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ 1938 და 1939 წლებში დიდ წარმატებებს მიაღწია.

რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახალხო კომისარიატების საერთო პროდუქცია ორი წლის განმავლობაში გადიდდა 118,2 მილიონი მანეთით, ე. ი. 1937 წელს გამოშვებულ პროდუქციასთან შედარებით 31,7 პროცენტით.

ცალკე სახალხო კომისარიატების მიხედვით პროდუქციის ზრდა შეადგენდა: კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით — 43,7 პროც., მსუბუქი მრეწველობისა — 27,0 პროც., საფეიქრო მრეწველობისა — 16,2 პროც. ადგილობრივი მრეწველობის სახ. კომისარიატისა— 16,2 პროც. სატყეო მრეწვ. სახ. კომისარიატისა — 16,1 პროც. ასეთივე მდგომარეობაა დანარჩენი სახალხო კომისარიატების ხაზითაც.

საქართველოში მოპოვებულია უდიდესი მიღწევები სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში. 1938 წლის გაზაფხულისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო საგლეხო მეურნეობათა მხოლოდ 77,9 პროც., 1940 წლის 1-ლი იანვრისათვის კი—92,3 პროც.

საცალო საქონელბრუნვა გადიდდა 588 მილიონი მანეთით ანუ 25,6 პროცენტით.

გასული ორი წლის განმავლობაში სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე დაიხარჯა 1.504,4 მილიონი მანეთი, რაც შეადგენს მეორე ხუთწლედში ამავე ხაზით გაწეული ხარჯების 90,4 პროცენტს.

საქართველოს სსრ 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი შესრულებულია 1.092,357 ათასი მანეთით, ანუ 97.6 პროც., ხოლო გასავლისა — 1.079.300 ათასი მანეთის რაოდენობით ანუ 96.4 პროც., მათ შორის შესრულება რესპუბლიკური ბიუჯეტის ხაზით 95,7 პროც. შეადგენს, ადგილობრივი ბიუჯეტით კი 97,0 პროც. შემოსავალმა გასავალს 13.056 ათასი მანეთით გადააჭარბა.

1937 წელთან შედარებით, საქართველოს სსრ 1938 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გაიზარდა 137,121 ათასი მანეთით, ანუ 14 პროც., ხოლო გასავალი 180.817,7 ათასი მანეთით ანუ 19,9 პროც.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 2,4 პროცენტით შეუსრულებლობა აიხსნება იმით, რომ 1938 წელს ვერ შესრულდა ბრუნვის გადასახადის გეგმა და ანარიცხები მოგების ზოგიერთი სახალხო კომისარიატის ხაზით. ბრუნვის გადასახადის გეგმა ვერ შესრულდა საქონელბრუნვის გეგმის შეუსრულებლობის გამო. რაც შეეხება მოგების ანარიცხების გეგმის შეუსრულებლობას, — მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა სამეურნეო სახ. კომისარიატებმა პროდუქციის გამოშვების საერთო გეგმა შეასრულეს, ზოგიერთი სახალხო კომისარიატის ხაზით გეგმით გათვალისწინებული დაგროვება ვერ შესრულდა თვითღირებულების გეგმის შეუსრულებლობისა და გეგმის გარეშე დანაკარგების გამო. საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესიის მიერ 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დამტკიცებულია 1.158.882 ათასი მანეთის რაოდენობით, საკავშირო ორგანოების დადგენილების საფუძველზე ცვლილებების შეტანის გამო ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 1.193.085 ათას მანეთამდე. 1939 წელს ბიუჯეტი შესრულებულ იქნა საშემოსავლო ნაწილში 1.218.784 ათასი მანეთით ანუ 102,2 პროც., საგასავლო ნაწილში—კი 1.182.330 ათასი მანეთით. ამრიგად, შემოსავალმა გასავალს 36.454 ათასი მანეთით გადააჭარბა.

1939 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 126.427 ათასი მანეთით, ანუ 11,6 პროც., ხოლო გასავალი 103,030 ათასი მანეთით, ანუ 9,5 პროც.

პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების, საქონელბრუნვის საგრძნობლად გადიდების, აგრეთვე სახელმწიფო შემოსავლისა და მოსახლეობისაგან გადასახადის აკრეფის დარგში საფინანსო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შედეგად, 1939 წელს ბრუნვის გადასახადის საერთო გეგმა შესრულებულია 107,1 პროც., რის შედეგადაც ბიუჯეტში გეგმის ზევით შემოვიდა 99 მილიონი მანეთი, მათ შორის რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში — 48 მილიონ მანეთზე მეტი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მოსახლეობისაგან გადასახადთა და გამოსაღებთა აკრეფის ბიუჯეტით გათვალისწინებული გეგმა.

მე მინდა უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ყურადღება მივაქციო იმ ნაკლზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1938 და 1939 წლების ბიუჯეტების შესრულების დროს. დაწესებულებათა ქსელის გაშლის გეგმის შეუსრულებლობის შედეგად, ჯანმრთელობის, განათლებისა და სასოფლო მეურნეობის ღონისძიებათა ხაზით გათვალისწინებული სახსრები არასაკმაოდ იქნა ათვისებული.

1938 წელს ჯანმრთელობის ღონისძიებათა ხაზით აუთვისებელი დარჩა 12.846 ათასი მანეთი ანუ 6,8 პროც., ხოლო 1939 წელს 8.545 ათასი მანეთი ანუ ასიგნობათა 4,3 პროც. ძირითადად სახსრების აუთვისებლობით აიხსნება სასოფლო საექიმო უბნებისა და რაიონული ცენტრების ჯანმრთელობის დაწესებულებათა ექიმებით დაუკომპლექტობით, რაც 1939 წელს შეადგენდა 600-მდე კაცს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯანმრთელობის სისტემაში მომუშავე ექიმთა საერთო რიცხვიდან (4.024) ქალაქ თბილისში მუშაობს 2.001 ექიმი, რაც შეადგენს 49.7 პროც., ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი სერიოზულად უნდა დაფიქრდეს სოფლად საექიმო უბნებისა და რაიონების საავადმყოფოების ექიმებით დაკომპლექტებაზე.

1939 წელს განათლების ხაზით აუთვისებელი დარჩა 8.069 ათასი მანეთი.

ეს გამოწვეულია უმთავრესად კადრების მომზადებაზე საკურსო ღონისძიებების ხაზით სახსრების აუთვისებლობით და ნაწილობრივ მოსწავლეთა კონტინგენტის შეუვსებლობით ტექნიკუმებში, მუშფაკებში, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში და დაუსწრებელ სწავლებაზე. ადგილობრივ ბიუჯეტში განათლების ხაზით, ცალკეულ ღონისძიებებზე ადგილი ჰქონდა გადახარჯვებს. თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, აუთვისებელი თანხის საერთო ჯამი გაცილებით უფრო მეტია.

მაგალითად, 1939 წელს ადგილობრივი ბიუჯეტებით განათლების დარგში გათვალისწინებული სახსრები ათვისებულია 99,7 პროც., მაგრამ ცალკე ღონისძიებათა ხაზით აუთვისებელია 7 მილიონ მანეთზე მეტი და ამავე დროს დაშვებულია გადახარჯვები დანარჩენ ღონისძიებებზე.

ძალზე სუსტია საბიუჯეტო და სახარჯთაღრიცხვო დისციპლინა განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში; ყველგან არ ადგენენ ინდივიდუალურ ხარჯთაღრიცხვებს, ხოლო თუ ასეთებს შეადგენენ, არ ხდება მათი დაყვანა ცალკეულ დაწესებულებამდე.

სუსტად არის აგრეთვე დაყენებული დაგეგმვისა და კვარტალური ბიუჯეტების შედგენის საქმე. ყოველივე ეს ხელს უწყობს საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის დარღვევას და სახელმწიფო სახსრების უმომჭირნეოდ ხარჯვას. განათლების ხაზით გარდა ამისა სახსრები უმომჭირნეოდ იხარჯება სასკოლო ქსელის მოუწესრიგებლობისა და კლასების ნაკლებად დატვირთვის გამო.

საჭიროა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა დასახონ ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რის შედეგადაც მიღებული იქნება მნიშვნელოვანი ეკონომია.

II. საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი

საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოდგენილია თქვენს დასამტკიცებლად შემოსავლის ნაწილში 1.227.451 ათასი მანეთის და გასავლის ნაწილში 1.227.451 ათასი მანეთის რაოდენობით. მათ შორის:

	შემოსავალი	გასავალი
რესპუბლიკური ბიუჯეტი	985.705 ათასი მან.	519.815 ათასი მან.
ასსრ და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტები	241.746 " "	707.636 " "

ბიუჯეტი შედგენილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-6 სესიის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მოცულობასთან ზუსტი შესაბამისობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ 1939 წლისათვის დამტკიცებულ ბიუჯეტის მოცულობასთან შედარებით, 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 68.569 ათასი მანეთით, ანუ 5.9 პროც.

საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი ცალკე წყაროების მიხედვით, 1939 წლის საანგარიშო მონაცემებთან შედარებით, მიღებულია შემდეგ თანხებში:

(ათას მანეთობით)

	1939 წლის ანგარიშით	მოსალოდნელია 1940 წლისათვის	+ −	
			აბსოლუტ. თანხით	%%-ში
ბრუნვის გადასახადის ანარიცხი	708.960	544.896	— 164.064	— 23,3
სამეურნეო ორგანიზაციების მოგების ანარიცხები	101.693	154.902	+ 53.209	+ 52,3
საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან საშემოსავლო გადასახადი და სხვა გადასახადები	24.360	28.669	+ 4.309	+ 17,7
მოსახლეობის გადასახადები და გამოსაღები	77.124	83 950	+ 6.826	+ 8.8
სახელმწიფო სესხები	44 400	85.550	+ 41.150	+ 92,7
მტს-ბის შემოსავალი	—	6.700	+ 6700	+ 100
სახელმწიფო სოცდაზღვევის სახსრები .	48.507	58.776	+ 10.269	+ 21,2
დანარჩენი შემოსავალი	17.711	22.262	+ 4.551	+ 25,7
სულ რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი	1.022.755	985.705	— 37.050	— 3,6
ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავალი	196.029	241.746	+ 45.717	+ 23,3
ს უ ლ	1.218.784	1.227.451	+ 8.667	+ 0,7

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, 1940 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში საგრძნობი ცვლილებები მოხდა. ბიუჯეტის საერთო მოცულობაში საკუთარი საშემოსავლო წყაროების ზრდის ანგარიშზე მცირდება ბრუნვის გადასახადის ანარიცხი.

ბიუჯეტის საერთო მოცულობაში 1940 წელს საკუთარი საშემოსავლო წყაროები შეადგენს 55,6 პროც., ნაცვლად 1939 წლის 41,8 პროც., აბსოლუტურ თანხებში კი იძლევა ზრდას 172.731 ათას მანეთს, ანუ 33,9 პროც. აღნიშნულს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება ბევრად დამოკიდებული იქნება ჩვენს მუშაობაზე.

ანარიცხები ბრუნვის გადასახადისაგან

1940 წლისათვის ბრუნვის გადასახადის საერთო შემოსავალი განსაზღვრულია 1.629.800 ათასი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1939 წელს ფაქტიურად შესრულებული 1.473.500 ათასი მანეთისა, ე. ი. აბსოლუტურ ციფრებში ზრდა შეადგენს 156,3 მილიონ მანეთს ანუ 10,6%-ს.

რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადი შემოდის საერთო ჯამიდან ანარიცხის სახით 33,4%-ის ოდენობით: ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტში ბრუნვის გადასახადის ანარიცხი ჯერ კიდევ წარმოადგენს ძირითად საშემოსავლო წყაროს და ამ შემოსავლის გეგმის შესრულებაზე ბევრად დამოკიდებულია ჩვენი ბიუჯეტის შესრულება.

მიმდინარე წლის გასულ 5 თვეში რესპუბლიკაში ბრუნვის გადასახადის გეგმის შესრულების ხაზით ადგილი აქვს ჩამორჩენას. საჭიროა ეს ჩამორჩენა უმოკლეს დროში ლიკვიდირებულ იქნას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შემოსავლის და გაზრდისათვის ყველა შესაძლებლობა არ არის გამოყენებული.

ბრუნვის გადასახადის გაზრდა პირდაპირ დამოკიდებულებაშია პროდუქციის წარმოებისა და საქონელბრუნვის გაზრდასთან. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო საწარმოებმა, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემამ, აგრეთვე ადგილობრივმა მრეწველობამ ჯერ კიდევ ვერ შესძლეს ყველა შესაძლებლობის გამოყენება თავისი საწარმოო პროდუქციის გაზრდისათვის.

საჭიროა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ფართო მოხმარების საგნების გამოშვების ზრდას, რის სრული შესაძლებლობაც თითქმის ყველა რაიონშია.

სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმაც საჭიროა გადაჭრით გააუმჯობესონ მომხმარებლამდე საქონლის დაყვანის ორგანიზაცია.

საფინანსო ორგანოებმა მაქსიმალურად უნდა გააძლიერონ კონტროლი წარმოებასა და გასაღებაზე, განამტკიცონ საგადასახადო დისციპლინა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებში და გადაჭრით აღკვეთონ ყოველგვარი ცდა სამეურნეო ორგანოების მიერ თავის მეურნეობაში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენებისა.

ბრუნვის გადასახადის ანარიცხის საერთო თანხაში შედის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და ნავთის ამოღების ანარიცხი 5.523 ათასი მანეთის რაოდენობით.

მე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება განსაკუთრებით ამ შემოსავალზე. ეს შემოსავალი მთლიანად შემოდის ადგილობრივ ბიუჯეტებში საკავშირო ბიუჯეტიდან რაიონის ტერიტორიაზე დამზადებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითეულ ტონაზე ანარიცხის სახით. დაწესებულია ანარიცხი მარცვლეულის, ხორცის, პირუტყვის, ფრინველის, მატყლის, შაქრის ჭარხლის, რძის პროდუქტების, კარტოფილის, თამბაქოს დამზადებაზე და ნავთის ამოღებიდან.

ეს შემოსავალი ყველაზე უფრო მტკიცეა და ამასთან ერთად ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმების შესრულებას.

მოგების ანარიცხები

შემდეგი თავისი ხვედრითი წონით ჩვენი ბიუჯეტის ძირითადი საშემოსავლო წყაროა სახალხო მეურნეობის მოგების ანარიცხი. ეს შემოსავალი 1940 წლისათვის გამოანგარიშებულია 154.903 ათასი მანეთის რაოდენობით. 1939 წელთან შედარებით ბიუჯეტში მოგების ანარიცხის ზრდა შეადგენს 52,3%-ს.

სამეურნეო და სამრეწველო სახალხო კომისარიატების მოგების ანარიცხის ასეთი საგრძნობი ზრდა გამოწვეულია საწარმოო პროგრამის ზრდით, ექსპლოატაციაში ახალ საწარმოთა გადაცემით და თვითღირებულების შემდგომი შემცირებით.

რესპუბლიკური დაქვემდებარების სამეურნეო ორგანიზაციების დაგროვებათა საერთო თანხა 1940 წელს გამოანგარიშებულია 230.383 ათასი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 1939 წელს ფაქტიურად მიღებული 176.098 ათასი მანეთისა; ამ თანხიდან ბიუჯეტში მოგების ანარიცხის სახით შემოვა 154.092 ათასი მანეთი ანუ მთელი მოგების 66,9%.

საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სამრეწველო სახალხო კომისარიატების და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს, საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის ცალკე ფაქტებს, გეგმის გარეშე დანაკარგებს, გადახარჯვას და სხვ.

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 1939 წელს ჩამოწერილია დანაკარგები 2.536 ათასი მანეთი, მათ შორის: გასული წლების გამოვლინებული ზარალი 159 ათასი მანეთი, საბინაო და კომუნალური მეურნეობის ზარალი—158 ათასი მანეთი, უიმედო ვალები — 328 ათასი მანეთი და სხვ.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის ხაზით გეგმის და ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუსრულებლობის, აგრეთვე წუნდებული პროდუქციის გამოშვების გამო გამოვლინებული ზარალი შეადგენდა 978 ათას მანეთს, საზოგადოებრივი კვების ხაზით დანაკარგები უდრიდა 329 ათას მანეთს და დანაკარგი საბინაო და კომუნალურ მეურნეობაში—366 ათას მანეთს.

სატყეო მრეწველობის სახ. კომისარიატის საწარმოების მიერ დაშვებული იყო კაპიტალურ დაბანდებებში საკუთარი საბრუნავი სახსრების უკანონოდ დაბანდება 641 ათასი მანეთის რაოდენობით. ხელფასის ფონდის 436 ათასი მანეთის რაოდენობით გადახარჯვა და სხვა.

მსუბუქი მრეწველობის ხაზით პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების შეუსრულებლობით დანაკარგი შეადგენდა 5.088 ათას მანეთს, მათ შორის სამკერვალო მრეწველობის ხაზით—4.671 ათას მანეთს, 1939 წელს გამოვლინებული გასული წლების ზარალი 742 ათას მანეთს, დანაკარგი საზოგადოებრივი კვების ხაზით—143 ათას მანეთს და სხვ.

1939 წელს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ორგანიზაციების ხაზით ჩამოწერილია დებიტორული დავალიანება 3.221 ათასი მანეთის რაოდენობით, გადახდილია ჯარიმები და საურავი—1.092 ათასი მანეთი, მიმოქცევის ხარჯებში დაშვებულია გადახარჯვა 1.297 ათასი მანეთი და სხვ.

მსუბუქი მრეწველობისა და ვაჭრობის სახალხო კომისარიატების მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა სადირექტორო ფონდის გახარჯვის დადგენილი წესის უხეშ დარღვევას, ცალკე შემთხვევაში ამ ფონდის განიავებასაც კი, რაც გამოიხატა დირექტორის ფონდიდან ცალკე მუშაკებისათვის დახმარებისა და პრემიის სახით დიდი რაოდენობის თანხების მიცემით.

ყველა ჩამოთვლილი ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ სამეურნეო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს უყაირათობას, ბევრ მათგანს ჯერ კიდევ არ შეუგნია პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე სახელმწიფო სახსრების სწორად და მომჭირნეობით გამოყენების აუცილებლობისათვის. ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები, რომ მომჭირნეობით ეკიდებოდნენ სათბობისა და ნედლი მასალის ხარჯვას, არ უშვებდნენ გეგმის გარეშე დანაკარგს, ზარალს და გადახარჯვას, მაშინ ჩვენ რამდენიმე მილიონი მანეთის ეკონომია გვექნებოდა.

1940 წელს საფინანსო ორგანოების წინაშე დგას ამოცანა—სისტემატურად, დღითი-დღე ადევნონ თვალყური მეურნეობას, შეისწავლონ იგი, გააძლიერონ საფინანსო კონტროლი, დროულად გამოამჟღავნონ საფინანსო და საბიუჯეტო დისციპლინის ყველა დარღვევა და დროულად მიიღონ ზომები მათი აღკვეთისათვის.

გადასახადები და გამოსაღები მოსახლეობიდან

საქართველოს სსრ 1940 წლის ბიუჯეტით მოსახლეობისაგან ასაკრეფი გადასახადები და გამოსაღებები გამოანგარიშებულია 201.855 ათასი მანეთის რაოდენობით. ამ გადასახადების ხვედრითი წონა ბიუჯეტში, როგორც ხედავთ, დიდი არ არის, მაგრამ ამ მუშაობის ჩატარება როგორც საფინანსო ორგანოების, ისე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საქალაქო, სარაიონო, სადაბო და სასოფლო საბჭოების მხრივ მეტად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ახალი კანონის გატარებისას გასულ წელს ზოგიერთმა საფინანსო ორგანომ ცალკე შეცდომები დაუშვა.

მთელ რიგ რაიონებში საგადასახადო მუშაობა ჩამორჩება იმ მოთხოვნას, რომელსაც ჩვენს წინაშე პარტია და ხელისუფლება აყენებენ. საფინანსო ორგანოები ჯერ კიდევ არ იღებენ საკმაო ზომებს ერთპიროვნული მეურნეობებისაგან გადასახადების დროულად ამოღებისათვის. მაგალითად, 1940 წლის 1-ლი იანვრისათვის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხაზით არსებული ნარჩენებიდან—6.663,7 ათასი მანეთიდან ერთპიროვნულ მეურნეებზე ირიცხებოდა 1.628 ათასი მან.

ერთპიროვნულ მეურნეობებზე განსაკუთრებით დიდი ნარჩენები ირიცხებოდა შემდეგ რაიონებში: ყაზბეგში—241 ათასი მანეთი, საგარეჯოში—101 ათასი მანეთი, თბილისის რაიონში—86 ათასი მანეთი, ჭიათურაში—79 ათასი მანეთი, გეგეჭკორის რაიონში 50 ათასი მანეთი და სხვ.

გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს დაშვებული შეცდომები გამოსწორებულ იქნა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით; მიმდინარე წელს, ეს შეცდომები რომ არ განმეორდეს, საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას მეურნეობათა ყველა დასაბეგრი შემოსავლის ზუსტად აღრიცხვა, გადასახადის სწორად გამოანგარიშება და გადასახადის ვადაზე აკრეფა.

საჭიროა აგრეთვე საფინანსო ორგანოების ხელმძღვანელებმა ერთხელ და სამუდამოდ მოუღონ ბოლო ისეთ მდგომარეობას, როდესაც ერთპიროვნული მეურნეობები თავის დროზე არ ასრულებენ საფინანსო და სხვა ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-6 სესიამ ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად მიიღო ახალი კანონი მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადისა და ქალაქად საბინაო, კულტურული და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის გამოსაღების შესახებ.

საჭიროა საფინანსო ორგანოებმა უზრუნველჰყონ ამ კანონების დროულად და სწორად განხორციელება, განამტკიცონ საგადასახადო დისციპლინა და მიაღწიონ გადასახადების ვადაზე აუცილებლად აკრეფას.

საჭიროა მშრომელთა დეპუტატების სარაიონო, საქალაქო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება მიაქციონ საგადასახადო მუშაობას და პრაქტიკული დახმარება გაუწიონ საფინანსო ორგანოებს.

შემოსავალი სამანქანო-სატრაქტორო სადგურებიდან

საქართველოში სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შემოსავალი წელს პირველად არის გათვალისწინებული ჩვენს ბიუჯეტში. 1940 წლისათვის მტს-ების ნატურალური და ფულადი შემოსავალი გამოანგარიშებულია 13.400 ათასი მანეთის რაოდენობით.

რესპუბლიკის ბიუჯეტში შემოდის ამ შემოსავლის ნახევარი, საიდანაც 60% გადაეცემა ადგილობრივ ბიუჯეტებს.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ბიუჯეტების საკუთარ საშემოსავლო წყაროების განმტკიცებისათვის და მეორე მხრივ ჰქმნის ადგილობრივ საბჭოებისა და ფინორგანოებისათვის უშუალო დაინტერესებას მტს-ების საწარმოო და საფინანსო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში.

1938 წლიდან მტს-ები გადაყვანილია დაფინანსების ახალ წესზე. ყველა მათი ხარჯი იფარება ბიუჯეტით და მტს-ის ყველა შემოსავალი, როგორც ნატურალური, ისე ფულადი სახით შეიტანება სახელმწიფო შემოსავალში.

დღემდე სახელმწიფო ბიუჯეტში ამ სახსრების შემოსავალს არც მიწსახკომის ორგანოები და არც საფინანსო ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ. მტს-ების ხელმძღვანელებიც არ აფასებდნენ ამ საქმის მნიშვნელობას.

1940 წელს საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მხრივ სახელმწიფო საფინანსო დისციპლინის დაცვა და ბიუჯეტში გათვალისწინებული მტს-ის ყველა შემოსავლის დროულად შესრულება.

სახელმწიფო სესხები, ანაბრები და სახელმწიფო დაზღვევა

სახელმწიფო სესხებიდან ანარიცხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ბიუჯეტის შემოსავალში. 1940 წელს სახელმწიფო სესხის რეალიზაციით გათვალისწინებულია საერთო შემოსავალი 144.100 ათასი მანეთის რაოდენობით.

როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-6 სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად 1940 წელს სესხის გავრცელება ჩატარდება ჩვეულებრივ დროზე ერთი თვით ადრე.

1939 წელს სესხზე ხელისმოწერის საერთო თანხა საქართველოს სს რესპუბლიკაში 127.411 მანეთს შეადგენდა, 1940 წლისათვის საბიუჯეტო გეგმის გაანგარიშების მიხედვით სესხის რეალიზაციის თანხა 145 მილიონ მანეთს შეადგენს.

სახელმწიფო სესხი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან ის მიმართულია ჩვენი სოციალისტური ქვეყნის სახალხო მეურნეობის განუხრელ აღმავლობასა და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდისაკენ.

საბჭოთა სესხები საგრძნობ შემოსავალს აძლევენ მშრომელებს პროცენტებისა და მოგების სახით. 1937 წელს საქართველოში მშრომელებმა სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე 6.271,4 ათასი მანეთი მიიღეს, 1938 წელს—6.073,6 ათასი მანეთი, 1939 წელს—7.449,0 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 2.928,8 ათასი მანეთი.

გასულ წელს გამოშვებული მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი (მეორე წლის გამოშვება) საქართველოს სსრ-ში ისე, როგორც სხვა რესპუბლიკებშიაც, გავრცელებულ იქნა დიდი ენთუზიაზმით.

მიუხედავად ამისა, ამ მუშაობის ჩატარებისას ადგილი ჰქონდა ზოგიერთ ნაკლს, რაც იმით გამოიხატა, რომ მუშებისა და მოსახლეობის ნაწილს, უმთავრესად შვებულებაში მყოფ მასწავლებლობას, არ მიეცათ სესხზე ხელისმოწერის შესაძლებლობა.

სესხის გავრცელებისა და ანაბრების მოზიდვის საქმეში დიდ როლს თამაშობენ ხელშემწყობი კომისიები და მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს რწმუნებულთა მუშაობის სწორი ორგანიზაცია.

საჭიროა განმტკიცდეს ხელშემწყობი კომისიების შემადგენლობა და სასოფლო საბჭოს სესხის გავრცელების ხაზით რწმუნებულთა შემადგენლობაში შერჩეულ იქნან შემოწმებული, პატიოსანი და ავტორიტეტიანი მუშაკები.

უდავოა, რომ 1940 წელს ახალი სესხის გავრცელება წარმატებით ჩატარდება.

სახელმწიფო სესხზე ხელის მოწერის წარმატებით ჩატარებით საქართველოს სსრ მშრომელები ერთხელ კიდევ დაამტკიცებენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, სრულ მზადყოფნას მესამე სტალინური ხუთწლედის დასახული გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და კომუნიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სახელმწიფო შემოსავალში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შემნახველ სალაროებში მოსახლეობის მიერ შენატან დანაზოგს და სახელმწიფო დაზღვევის სახსრებს.

ჩვენს რესპუბლიკაში მოსახლეობის ანაბრების მოზიდვის საქმეში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები. მეანაბრეთა რიცხვი 1939 წლის პირველი იანვრიდან 1940 წლის 1 იანვრამდე გაიზარდა 237.300 კაციდან 268.100 კაცამდე. შემნახველ სალაროებში ანაბართა ნაშთი ამავე დროისათვის გადიდდა 99,5 მილიონი მანეთიდან 125,1 მილიონ მანეთამდე.

1939 წლის 1-ლი იანვრისათვის ერთ მეანაბრეზე საშუალო ანაბარი შეადგენდა 396 მანეთს, 1940 წლის 1-ლი იანვრისათვის კი—467 მანეთს.

1939 წლის განმავლობაში გახსნილია 113 შემნახველი სალარო და ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს 592 შემნახველი სალარო.

შემნახველი სალაროების ქსელის გადიდებამ საგრძნობლად დააახ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-3 სესია

საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტზე და საქართველოს სსრ 1938 და 1939 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენება

(გაგრძელება)

ლოვა შემნახველი სალაროები მოსახლეობის ფართო მასასთან, მაგრამ ზოგიერთი მათგანი მთავრობის მიერ დაკისრებულ ამოცანებს საკმაოდ ვერ ასრულებს.

ბევრ სასოფლო შემნახველ სალაროში ანაბართა ნაშთი უმნიშვნელო თანხას შეადგენს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ შემნახველი სალაროების მუშაობას და სალაროები უნდა გაიხსნას ეკონომიური მიზანშეწონილებისა და მოსახლეობის უკეთესად მომსახურების თვალსაზრისით.

1940 წელს შემნახველ სალაროებში ჩვენ მნიშვნელოვანი თანხები უნდა მოვიზიდოთ.

დანაზოგთა მოზიდვის გეგმის შესრულება დამოკიდებულია ადგილობრივი საფინანსო ორგანოების და შემნახველი სალაროების მუშაობაზე და იმ დახმარებაზე, რომელსაც მათ გაუწევენ ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები დ საზოგადოებრიობა.

სახელმწიფო დაზღვევის უდიდესი მნიშვნელობა ცნობილია ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისათვის.

სახელმწიფო დაზღვევა წარმოადგენს მძლავრ იარაღს სოციალისტური საკუთრებისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების საქმეში.

1939 წლის განმავლობაში საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს მიეცათ სადაზღვევო საზღაური 29.505,3 ათასი მანეთის რაოდენობით.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა შეიგნეს სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობა და სარგებლიანობა და ენთუზიაზმით ხვდებიან ამ საქმეს.

ნებაყოფლობითი დაზღვევა სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება. სიცოცხლის კოლექტიური დაზღვევით 1940 წლის 1-ლ იანვრისათვის დაზღვეული იყო 202.742 კაცი. ნებაყოფლობითი წესით დაზღვეულია 22.454 კაცის საოჯახო ქონება.

სახელმწიფო დაზღვევის სახსრები, ორგანიზაციებისა და მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის გარდა, მიიმართება სტიქიურ უბედურებათა, ხანძრის, პირუტყვის სიკვდილიანობის წინააღმდეგ გამაფრთხილებელი ზომების მისაღებად,— სახანძრო დეპოების, ვეტერინარული სამკურნალოების, ამბულატორიების მშენებლობისათვის და კრამიტის ქარხნების, ცეცხლგამძლე სახურავი მასალების წარმოებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-6 სესიამ, ბიუჯეტის მიღებასთან ერთად, დაამტკიცა ახალი კანონი სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ. ეს კანონი უსათუოდ დიდად შეუწყობს ხელს სახელმწიფო დაზღვევის შემდგომ განვითარებას, კოლმეურნეობების განმტკიცებასა და საზოგადოებრივი საკუთრების დაცვას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ სახდაზღვევის ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ. მოსახლეობიდან სადაზღვევო გადასახდელების აკრეფა 1939 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა არადამაკმაყოფილებლად და სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის 1939 წლის გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 98,6 %-ით.

ზოგიერთ რაიონში ჩვენი სადაზღვევო ორგანოები აგვიანებენ ზარალის გამოვლინებას, სადაზღვევო საზღაურის დროზე გაცემას და სხვ.

საჭიროა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა სადაზღვევო ორგანოების მუშაობას მიაქციონ უფრო მეტი ყურადღება, ხოლო საფინანსო და სადაზღვევო ორგანოებმა საგრძნობლად გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა.

ამხანაგო დეპუტატებო! ასეთია თქვენს დასამტკიცებლად წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი.

ჩვენი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გამოანგარიშებულია 1940 წლისათვის დამტკიცებული სახალხო მეურნეობის გეგმის მაჩვენებლების ზუსტი შესაბამისობით.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება მთლიანად დამოკიდებულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგების მიერ გეგმის შესრულებაზე.

თვითეული საწარმოს ხელმძღვანელის და სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის მოვალეობაა ზუსტად შეასრულონ თავისი საფინანსო ვალდებულებანი სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე.

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა საჭიროა გააუმჯობესონ თავისი მუშაობა, მაქსიმალურად განამტკიცონ საფინანსო-საგადასახადო დისციპლინა როგორც სამეურნეო ორგანიზაციებში, ისე მოსახლეობის შორის მტკიცედ იბრძოლონ იმისათვის, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული თვითეული მანეთი დროულად აიკრიფოს.

მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით საფინანსო აპარატის მუშაკებმა საქმით უნდა უზრუნველჰყონ 1940 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის წარმატებით შესრულება და უზრუნველჰყონ ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შეუფერხებელი დაფინანსება.

III. საქართველოს სს რესპუბლიკის 1940 წლის ბიუჯეტის გასავალი

საქართველოს სსრ 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავლის საერთო მოცულობა განისაზღვრება 1.227.451 ათასი მანეთით, ნაცვლად 1939 წელში ფაქტიური შესრულებისა—1.182.331 ათასი მანეთისა.

ამრიგად, 1939 წელთან შედარებით გასავალი გაიზარდა 45.120 ათასი მანეთით.

საბიუჯეტო სახსრების წარმართვა 1940 წელში ცალკე დარგების მიხედვით 1939 წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით გამოიხატება შემდეგ თანხებში:

ათას მანეთობით

	1939 წელი	1940 წელი	ცვლილებები (+ −)	
			აბსოლუტ. თანხებში	%/%-ში
სახალხო მეურნეობა	272.838	261.581	− 11.257	− 4,1
სოც. კულტ. ღონისძიებები	794.794	846 081	+ 51.287	+ 6,5
მათ შორის: განათლება	541.241	575.679	+ 34.438	+ 6,4
„ ჯანმრთელობა	178.971	194.696	+ 15.725	+ 8,8
სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვა	97.789	107.858	+ 10.069	+10,3
დანარჩენი ხარჯები	16.910	11.931	− 4.971	−29,4
სულ. . .	1.182.331	1.227.451	+ 45.120	+ 3,8

ამ მონაცემებიდან სჩანს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი, 68,9%, იხარჯება სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებზე.

კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება გასულ წელთან შედარებით იზრდება 51.287 ათასი მანეთით. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსების ზრდა მთლიანად გამომდინარეობს იმ ამოცანებიდან, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე ბოლშევიკური პარტიის XVIII ყრილობის მიერ.

თავისი ხვედრითი წონით დიდი ადგილი უკავია სახალხო მეურნეობის დაფინანსებას. სახალხო მეურნეობაში 1940 წლის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტით დაბანდებულ უნდა იქნას 261.581 ათასი მანეთი, ანუ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხების 21,3%.

ბიუჯეტიდან ასიგნობანი სახალხო მეურნეობის ხაზით გასულ წელთან შედარებით რამდენადმე მცირდება, რაც ძირითადად აიხსნება სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარ დაგროვებათა და საკუთარი წყაროების ანგარიშზე დანახარჯების დაფარვის ხვედრითი წონის ზრდით.

კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება

უპირველეს ყოვლისა საჭიროა შევჩერდეთ კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებაზე.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციებისა და საწარმოთა მიხედვით 1940 წლისათვის მიღებული ლიმიტების საფუძველზე 91.620 ათასი მანეთი და დამატებითი ხარჯთაღრიცხვებით — 5.787 ათასი მანეთი, სულ 97.407 ათასი მანეთი. ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია დაიხარჯოს კაპიტალურ მშენებლობაზე 53.872 ათასი მანეთი, ე. ი. დანახარჯების 65,3%, ხოლო სახელმწიფო ორგანიზაციების საკუთარი სახსრების ანგარიშზე დაბანდებული იქნება 43.535 ათასი მანეთი ანუ 44,7%.

საკუთარი სახსრები, რომლებსაც ორგანიზაციები და საწარმოები კაპიტალურ მშენებლობაზე ხარჯავენ, შესდგება უმთავრესად საამორტიზაციო ანარიცხების, მოგებისა და შინარესურსების მობილიზაციით.

კაპიტალურ მშენებლობაზე შინარესურსების მობილიზაცია საფინანსო გეგმებით გათვალისწინებულია 3.109 ათასი მანეთის რაოდენობით.

მთელ რიგ მშენებლობაზე მოიპოვება ზედმეტი სათადარიგო მასალების, მოწყობილობისა და მექანიზმების დიდი რაოდენობა. ეს ფასეულობა ხშირად გამოუყენებლად დევს ერთ მშენებლობაზე, მაშინ როდესაც სხვა მშენებლობაზე მათი დიდი მოთხოვნილებაა.

1940 წლის ბიუჯეტით მშენებლობაში შინარესურსების მობილიზაცია გამოანგარიშებულია მინიმალური რაოდენობით. თუ სამეურნეო ორგანიზაციები ამ საქმეს როგორც საჭიროა ისე მოჰკიდებენ ხელს და მას სათანადო ყურადღებას მიაქცევენ სპეციალური ბანკები, შესაძლო გახდება მშენებლობათა ხაზით უფრო მეტი თანხის მობილიზება.

საჭიროა აღინიშნოს ცალკე სამშენებლო ორგანიზაციების სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. სამშენებლო ორგანიზაციები არღვევენ მშენებლობის ვადებს, აშენებენ ცუდი ხარისხით, უშვებენ გეგმის გარეშე დანაკარგებს, ხელფასის ფონდის გადახარჯვას და სხვ.

სამშენებლო ტრესტმა „საქქარხმშენმა“ 1939 წელში სახელმწიფოს 3.648 ათასი მანეთი ზარალი მიაყენა, რაც სამშენებლო პროგრამისა და დაგროვებათა გეგმის შეუსრულებლობით, ხელფასის ფონდისა და მასალების გადახარჯვითა და ტრესტის ხელმძღვანელობის უვარგისი მუშაობითაა გამოწვეული.

სამშენებლო ორგანიზაციებმა უნდა შეიგნონ, რომ პარტია და ხელისუფლება მათგან მოითხოვენ მშენებლობის გაიაფებას, სწრაფმშენებლობის მეთოდების დანერგვას და მშენებლობის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას.

1940 წელში საწარმოთა და ორგანიზაციების ხაზით გათვალისწინებულია 104.323 ათასი მანეთის ღირებულების კაპიტალური რემონტის ჩატარება.

კაპიტალურ რემონტზე დანახარჯები იფარება საამორტიზაციო ანარიცხებიდან 56.513 ათასი მანეთი, ბიუჯეტიდან კი 47.810 ათასი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტზე გათვალისწინებულია 22.876 ათასი მანეთი, მათ შორის ქალაქ თბილისში 14.256 ათასი მანეთი.

განათლების, ჯანმრთელობის დაწესებულებათა, აგრეთვე საწარმოთა და განსაკუთრებით კი საცხოვრებელი ბინების კაპიტალურ რემონტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საჭიროა, რომ სათანადო უწყებებმა ხელი მოჰკიდონ ამ საქმეს და მთლიანად აითვისონ სახსრები, რაც გათვალისწინებულია ბიუჯეტით და საფინანსო გეგმით. საჭიროა, რომ გრძელვადიან დაბანდებათა ბანკებმა დააწესონ მკაცრი კონტროლი სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახსრების აკუმულაციასა და ბანკში ანარიცხების დროულად შეტანაზე.

სასტიკი კონტროლი უნდა დაწესდეს იმაზეც, რომ სახსრების გაცემა სწარმოებდეს პირდაპირი დანიშნულებით და იხარჯებოდეს დიდი ეფექტით.

ლიმიტგარეშე დანახარჯები 1940 წლისათვის გათვალისწინებულია 134.109 ათასი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციების ხაზით 75.143 ათასი მანეთის და ადგილობრივი დაქვემდებარებას ორგანიზაციების ხაზით — 58.966 ათასი მანეთის რაოდენობით.

ლიმიტგარეშე დანახარჯებისათვის ასიგნობანი ძირითადად იფარება ბიუჯეტიდან. ლიმიტგარეშე დანახარჯების ხაზით დასახული დიდი ასიგნობა მოითხოვს, ერთის მხრივ, რომ სამეურნეო ორგანიზაციებმა აითვისონ ეს სახსრები და, მეორე მხრივ, რომ სახსრების გამოყენება სწარმოებდეს პირდაპირი დანიშნულებით კანონით გათვალისწინებულ ობიექტებზე.

გასულ წელში იყო შემთხვევები, როდესაც ლიმიტგარეშე დანახარჯებისათვის გათვალისწინებული სახსრები გამოყენებული იყო ლიმიტური მშენებლობის ობიექტებზე.

საჭიროა, რომ საფინანსო ორგანოებმა, აგრეთვე სპეცბანკებმა, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ლიმიტგარეშე კაპიტალური მშენებლობანი, მკაცრად ადევნონ თვალყური იმას, რომ სახსრები იხარჯებოდეს პირდაპირი დანიშნულებისამებრ.

ზემოთ ჩამოთვლილი კაპიტალური ხასიათის დაბანდებებს გარდა, რაიონული დაქვემდებარების მრეწველობის საწარმოთა გაფართოებაზე 1940 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 11.258 ათასი მანეთი. მთავრობა ამახვილებს საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღებას ადგილობრივი მრეწველობის ყოველმხრივ განვითარების აუცილებლობაზე.

უკანასკნელ დროს რამდენადმე გაუმჯობესდა ადგილობრივი მრეწველობის მუშაობა, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ამოწურული ყველა შესაძლებლობანი საწარმოთა გაფართოებისა და ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენების საქმეში.

1940 წლის ბიუჯეტით სახსრები ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა გაფართოებაზე გამოყენებულ უნდა იქნას მაქსიმალური ეფექტით. ჩვენში არ უნდა დარჩეს არცერთი რაიონი, რომელსაც არ ექნება ადგილობრივი მრეწველობის საწარმო, რომელიც უნდა მუშაობდეს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე.

საბრუნავი სახსრების დაფინანსება

1940 წლისათვის მიღებული სახალხო - სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული წარმოების, საქონელბრუნვისა და საამშენებლო პროგრამის მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა საკუთარი საბრუნავი სახსრების მოთხოვნილება განსაზღვრულია 51.154 ათასი მანეთის რაოდენობით.

სამეურნეო ორგანიზაციების საბრუნავი სახსრების მატება ძირითადად იფარება საკუთარი წყაროებით, ბიუჯეტის მონაწილეობა კი შეადგენს 8.950 ათას მანეთს.

საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმალური მატების გარდა, 1940 წელში სამეურნეო სახალხო კომისარიატების საფინანსო გეგმებში საბრუნავი სახსრების გარღვევათა დასაფარავად გათვალისწინებულია 16.030 ათასი მანეთი.

საბრუნავ სახსრებში გარღვევა ძირითადად მთავარსამმართველოებისა და სახალხო კომისარიატების მიერ ცალკე ტრესტებსა და საწარმოთა შორის ამ სახსრების არასწორად განაწილებისა და ზოგიერთ წამოწყების უვარგისი მუშაობის შედეგია.

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მიბოძეთ შევჩერდე სახალხო მეურნეობის ცალკე დარგთა ზოგიერთ ღონისძიებებზე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში 1940 წელში დაიხარჯება დიდი სახსრები.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გათვალისწინებულია დაიხარჯოს სულ 54.872 ათასი მანეთი, რაც გასულ წელთან შედარებით იძლევა ზრდას 25,6 პროცენტით.

ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები ძირითადად მოხმარდება: ვეტერინარიისა და ეპიზოოტიის ღონისძიებებს—11.841 ათასი მანეთი, — ზრდა 29,1%, მემცენარეობას—14.850 ათასი მანეთი,—ზრდა 45,5%, მესაქონლეობას—4.702 ათასი მანეთი,—ზრდა 14,6%, და მიწათმოწყობის სამუშაოებს — კოლმეურნეობებზე მუდმივ სარგებლობაში მიწების მიმაგრებასთან დაკავშირებით—2.845 ათასი მანეთი, — ზრდა 90,2%.

ეს დაბანდებანი უზრუნველჰყოფენ 1940 წელს 328 აგროუბნის, 272 სავეტერინარო - საექიმო და სავეტერინარო - საფერშლო პუნქტის, 270 ზოოუბნის შენახვას და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად 1940 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს საძოვრების მეურნეობის დაფინანსებას 2.500 ათასი მანეთით, აქედან საქონლის გადასაყვანი გზების შეკეთებისა და გაფართოებისათვის — 1.589 ათასი მანეთით, სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებისა და წყლის მიწოდებისათვის — 670 ათასი მანეთით. მარცვლეული მეურნეობის ხაზით მთელი სათესი ფართობის ხარისხოვანი თესლით უზრუნველსაყოფად თესლის საკონტროლო სადგურების რიცხვი აყვანილი იქნება 66-მდე. მათი შენახვისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 1.843 ათასი მანეთი, რაც გასულ წელთან შედარებით იძლევა ზრდას 36%-ით.

ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციების გაშენებისა და მოვლისათვის ლიმონტრესტის ხაზით გათვალისწინებულია 5.628 ათასი მანეთი.

ამ ღონისძიებათათვის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა გასულ წელთან შედარებით აიხსნება იმით, რომ 1940 წლის ბიუჯეტში დამატებითი დაფინანსება გათვალისწინებულია ლიმონების საზამთრო შეფუთვისათვის 1.286 ათასი მანეთის რაოდენობით სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილების შესაბამისად.

საგზაო მეურნეობის ხაზით დანახარჯების საერთო თანხა გათვალისწინებულია 49.778 ათასი მანეთის რაოდენობით, მათ შორის: სოფლის მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის ანგარიშზე — 27.670 ათასი მანეთი და ბიუჯეტის სახსრები 29.090 ათასი მანეთი. 1939 წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით ზრდა შეადგენს 30%-ს.

ეს დანახარჯები უზრუნველჰყოფენ ხიდების მშენებლობას მდინარე მტკვარზე (ბორჯომი — ბაკურიანი — ახალქალაქის გზა), მახარაძის რაიონში მდინარე ბჟუჟზე, ორჯონიკიძის რაიონში მდინარე ძირულაზე, კოჯორის გზატკეცილის მშენებლობას, ტყიბული — ქუთაისის, ჩხარი—ტყიბულის, ცაგერი—ოპიტარას, ონი—შქმერის და მთელი რიგი გზებისა და ხიდების შემდგომ რეკონსტრუქციას.

საბინაო და კომუნალური მეურნეობის დაფინანსებაზე ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულია 77.100 ათასი მანეთი, მათ შორის კაპიტალურ მშენებლობაზე —8.950 ათასი მანეთი, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კომუნალურ კეთილმოწყობაზე — 40.263 ათასი მანეთი, საცხოვრებელი ბინების კაპიტალურ რემონტზე — 19.341 ათასი მანეთი და სხვ.

ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნობანი უზრუნველჰყოფენ საბინაო მეურნეობის ხაზით 19 სახლის ექსპლოატაციაში გადაცემას და საბინაო ფონდის რამდენიმე ათასეული კვადრატული მეტრის კაპიტალურ რემონტსა და აღდგენას.

საექსპლოატაციოდ გადაეცემა სტალინირის და თელავის წყალსადენებში, წყალსადენის ქსელი ფოთში, გორსა და ლუქსემბურგში და უზრუნველყოფილი იქნება ახალციხის წყალსადენის რეკონსტრუქცია.

ექსპლოატაციაში უნდა შევიდეს აბანო ბოგდანოვკასა და ბორჩალოში, ელსადგური სტალინირში, ბორჩალოში და ეჭსელი სხვა ქალაქებში.

ქალაქ თბილისში ექსპლოატაციაში შევა წყალსადენის ქსელი 14 კილომეტრის სიგრძისა, წყალსადენის ახალი საცავები, აბანო-სამრეცხაოს კომბინატი, ერთი აბანო, ტრამვაის ლიანდაგი 4,6 კილომეტრის და ტროლეიბუსების საჰაერო ქსელი 4 კილომეტრის სიგრძისა.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში კომუნალურ კეთილმოწყობაზე გათვალისწინებული სახსრები უზრუნველჰყოფენ მოედნებისა და ქუჩების საკმაოდ დიდი ფართობის მოკირწყვლას, გზების, ხიდების და ტროლეიბუსების ხაზების მიმდინარე რემონტს, მწვანე ნარგავების ფართობის გადიდებას, დაჭაობებული ადგილების ამოშრობას და მათ კეთილმოწყობილ მდგომარეობაში მოყვანას.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მუდამ ზრუნავდნენ და ზრუნავენ ხალხთა მატერიალური და კულტურული ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად მესამე ხუთწლედში განხორციელდება ქალაქად საყოველთაო საშუალო სწავლება, ხოლო სოფლად და ყველა ნაციონალურ რესპუბლიკებში დამთავრდება შვიდწლედის ფარგლებში სწავლება და საგრძნობლად გაიზრდება ათწლედში ჩაბმულ ბავშვთა რიცხვი.

ჩვენს ბიუჯეტში ყოველწლიურად იზრდება ხარჯები სოციალურ და კულტურულ ღონისძიებებზე. მეორე სტალინური ხუთწლედის მანძილზე ეს ხარჯები ოთხჯერ გაიზარდა და 1940 წლისათვის კი 1939 წელთან შედარებით იზრდება 6-ჯერ.

1940 წლის ბიუჯეტით სოცკულტურული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული სახსრები დაიხარჯება:

ათას მანეთობით

	1939 წ.	1940 წ.	ზრდის %/%
სულ ხარჯები სოცკულტურულ ღონისძიებებზე	785.200	846.081	7,8
მათ შორის: ა) განათლება . .	541.241	575.679	6,4
„ ბ) ჯანმრთელობა .	178.971	194.696	8,8
„ გ) ფიზკულტურა .	6.409	6.176	—
„ დ) სოცუზრუნველყოფა . . .	58.570	69.530	18,7

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, განათლების ღონისძიებებზე იხარჯება 575,7 მილიონი მანეთი ანუ საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო მოცულობის 46,9 პროც. მიმდინარე წელს საქართველოს სს რესპუბლიკის ბიუჯეტი ითვალისწინებს, რათა საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში შემავალ უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლოს 17.999 სტუდენტმა, ტექნიკუმებში 29.220 კაცმა, საბავშვო ბაღებში აღიზარდოს 27.273 ბავშვი, საბავშვო სახლებში — 2.849 ბავშვი და სხვ.

მომავალ სასწავლო წელს საქართველოს სსრ სკოლებში ისწავლის 767.963 ბავშვი, ე. ი. 70.271 ბავშვით მეტი, ვიდრე მიმდინარე სასწავლო წელს. მოსწავლეთა რიცხვის საგრძნობი ზრდა მიდის უფროს კლასებზე.

მოსწავლეთა რაოდენობა პირველ 4 კლასში გაიზრდება 11.096 კაცით, მე-5-7 კლასებში — 38.085 კაცით, მე-8-10 კლასებში — 21.090 კაცით. ამრიგად, მოსწავლეთა რიცხვი — 8-10 კლასებში გაიზრდება 34,3 პროც., მე-5-7 კლასებში 18,7 პროც., პირველ ოთხ კლასში კი მხოლოდ 2,6 პროცენტით.

უკანასკნელ კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა პირველ ოთხ კლასთან შედარებით იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს რესპუბლიკაში საყოველთაო სწავლება დაწყებითი განათლების ფარგლებში დამთავრებულია.

პარტია და მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის ხარჯები გათვალისწინებულია 194.696 ათასი მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან 40.230 ათასი მანეთი ასიგნებულია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისათვის. მიმდინარე წელს საავადმყოფოებში საწოლების რაოდენობა ქალაქად 8.867-ს, ხოლო სოფლად 2.693-ს მიაღწევს. საბავშვო ბაგები მომსახურებას გაუწევენ 7.300 ბავშვს ქალაქად და 4.660 ბავშვს სოფლად, გარდა საკოლმეურნეო ქსელისა.

სოციალური უზრუნველყოფის ხაზით. სახელმწიფო უზრუნველყოფაზე იქნება 64.107 პენსიონერი, მათ შორის ინვალიდთა სახლებში მოთავსებული 530 კაცი. კულტურულ ღონისძიებებზე და ჯანმრთელობის დაცვის განმტკიცებაზე 1940 წლის ბიუჯეტით თანხების ასეთი დიდი რაოდენობით გაღება ავალებს სახალხო კომისარიატებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს და საფინანსო ორგანოებს ეს სახსრები გამოიყენონ მომჭირნეობით და მიზანშეწონილად.

მე უკვე აღვნიშნე, რომ ჯანმრთელობისა და განათლების სახალხო კომისარიატების ხაზით სახსრების ათვისება სუსტად მიმდინარეობს. საჭიროა მიმდინარე წელს განათლების და ჯანმრთელობის ორგანოებმა გამოასწორონ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ხარჯები სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შენახვაზე რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით 1940 წლისათვის დატოვებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებულ დონეზე.

ამჟამად პარტია და მთავრობა დიდ მუშაობას ეწევიან სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის.

წინასწარი ცნობების თანახმად ჩვენ მოგვიხდება საგრძნობლად შევამციროთ სამმართველო აპარატი და ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯები.

უკანასკნელ წლებში ჩვენი სამმართველო აპარატი საგრძნობლად გაიზარდა. აპარატის გადიდებასთან ერთად მეურნეობის ზოგიერთ დარგში ზედმეტი რგოლები აღმოცენდა.

საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობა ამჟამად აწარმოებს ცალკე სახალხო კომისარიატების და უწყებების სტრუქტურის გადასინჯვას, რის შედეგადაც აუცილებლად მივაღწევთ სტრუქტურის გამარტივებას — შტატებისა და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების საგრძნობ შემცირებას.

ამხანაგო დეპუტატებო! უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელები აპარატის შესანახი ხარჯების გაწევაში იჩენენ დაუშვებელ თვითნებობასა და ხელგაშლილობას, ინახავენ გაბერილ შტატებს; დიდი სახსრები იხარჯება მივლინებებზე, საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯებზე და არასაჭირო და ზედმეტ მიმოწერაზე.

ჩვენი საბიუჯეტო და სამეურნეო ორგანიზაციების აპარატი აუცილებლად საჭიროებს შემცირებასა და გამარტივებას. უსათუოდ უნდა შემცირდეს ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები. ეს მოგვცემს შესაძლებლობას სახელმწიფოს მივცეთ საგრძნობი სახსრების ეკონომია და გარდა ამისა, გავათავისუფლოთ მრავალრიცხოვანი კადრები ჩვენი მრეწველობისა, ტრანსპორტისა, სოფლის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობისათვის.

IV. სახელმწიფო საფინანსო დისციპლინა და საფინანსო კონტროლი

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესიაზე დეპუტატები აღნიშნავდნენ საფინანსო ორგანოების სუსტ მუშაობას ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კონტროლის საქმეში. სამწუხაროდ, ამ სესიაზე უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო ორგანოების ეს ნაკლოვანებანი ჯერაც არ არის აღმოფხვრილი.

ამ საქმეში უდიდეს როლს თამაშობს საკონტროლო - სარევიზიო აპარატის მოქნილი მუშაობა. 1939 წელს საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მიერ რევიზიები ჩატარებული იყო 3.512 ობიექტში, მათ შორის — სარაიონო ბიუჯეტისა იყო 32, სახალხო კომისარიატების და ცენტრალური დაწესებულებანი — 53, სამეურნეო ორგანიზაციები და რაიონის და ქალაქის ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებები — 1.468.

1938 წელთან შედარებით დაწესებულებათა და ორგანიზაციათა რევიზიები საგრძნობლად გაიზარდა. გაუმჯობესდა აგრეთვე რევიზიის შედეგად მიცემულ წინადადებათა შესრულების შემოწმება. ასეთი შემოწმება 1939 წელს ჩატარებული იყო 127, ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 48 ორგანიზაციაში.

რესპუბლიკის მეურნეობის რევიზიების ზრდამ, ამ რევიზიების ხარისხის გაუმჯობესებამ მოგვცა საფინანსო-საბიუჯეტო დარღვევების რაოდენობის შემცირება. ასე, მაგალითად, 1938 წლის განმავლობაში საკონტროლო-სარევიზიო აპარატის მონაცემების მიხედვით რევიზიაქმნილ ორგანიზაციებში საფინანსო დისციპლინის დარღვევების საერთო თანხა შეადგენდა 14.400 ათას მანეთს, ხოლო 1939 წელს — 7.200 ათას მანეთს.

აღსანიშნავია, რომ სარევიზიო აპარატმა ვერ დაიცვა რევიზიის ვადები და მთელ რიგ შემთხვევებში რევიზიები გრძელდება დაწესებულ ვადაზე მეტ ხანს. რევიზიების შედეგების რეალიზაციის საქმე ყოველთვის ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე და ჩატარებული რევიზიების ხარისხიც საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას.

საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შინასაუწყებო კონტროლი, რომლის მუშაობა ჯერ კიდევ საგრძნობლად მოისუსტებს.

განსაკუთრებით ჩამორჩება შინასაუწყებო კონტროლის სარევიზიო მასალების რეალიზაციის საქმე.

1939 წლის დასაწყისში საქართველოს რესპუბლიკის ჯანსახკომის ხაზით ჩატარებულ იქნა სამედიცინო დაწესებულებათა საფინანსო და სამეურნეო მუშაობის მასობრივი შემოწმება. საქართველოში შექმნილ იქნა 205 ბრიგადა, შემოწმება მიმდინარეობდა ორ თვეზე მეტ ხანს და დამთავრდა 1939 წლის 1-ლ თებერვალს. გამოვლინებულ იქნა საფინანსო და სამეურნეო დისციპლინის უხეში დარღვევის მრავალი ფაქტი, რომლებიც საჭიროებდნენ დაუყოვნებლივ ზომების მიღებას მათ აღმოსაფხვრელად. მაგრამ, ჯანსახკომმა ეს არ შეასრულა და მხოლოდ 10 თვის შემდეგ გამოცემულ იქნა ბრძანება, რომელშიც აღმოჩენილ დარღვევების აღმოსაფხვრელად თითქმის არავითარი ღონისძიებები არ იყო გათვალისწინებული.

საქართველოს სს რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახკომატის ხაზით რევიზიის მასალების რეალიზაცია გვიანდება 25-დან 300 დღემდე. მაგალითად, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკაში რევიზია დამთავრებული იყო 1939 წლის 25 იანვარს, ბრძანება კი გამოცემულია 1939 წლის ნოემბერში, ე. ი. 10 თვის შემდეგ. რევიზიით გამოვლენილი იყო, რომ 9 კაცი ღებულობდა გადამეტებულ განაკვეთებს, სადირექტორო ფონდის ხაზით გადახარჯვა შეადგენდა 46.000 მანეთს, გამოვლინებული იყო 16 ათასი მანეთის პროდუქციის დატაცება. ამ მასალების მიხედვით არავითარი საორგანიზაციო ღონისძიება არ იყო მიღებული გარდა იმისა, რომ აღდგენილი ყოფილიყო საშტატო დისციპლინა.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სარევიზიო მუშაობის შეუფასებლობას. საჭიროა სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური დაწესებულების ხელმძღვანელების მხრივ გადაჭრით შეიცვალოს დამოკიდებულება შინასაუწყებო კონტროლის მიმართ. ეს კონტროლი უნდა გადაიქცეს საფინანსო დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად.

საფინანსო ორგანოებმა და საკონტროლო-სარევიზიო აპარატმა საგრძნობლად უნდა გააუმჯობესონ თავისი მუშაობა სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კონტროლის საქმეში.

საჭიროა არა მარტო საფინანსო დისციპლინის დარღვევის შესახებ სიგნალების მიცემა, არამედ მიღწეულ უნდა იქნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც საფინანსო ორგანოების და სარევიზიო-საკონტროლო აპარატის მუშაობის უკეთ დაყენების საფუძველზე, თავიდან აცილებული იქნება სახ. კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში საფინანსო და საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევის მოსალოდნელი შემთხვევები.

V. ადგილობრივი ბიუჯეტები

საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტები, რომლებშიც შედის აფხაზეთის და აჭარის ასსრ ბიუჯეტები, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და საქალაქო საბჭოების ბიუჯეტები, ადასტურებენ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ განმტკიცებას და კულტურის განუხრელ აღმავლობას.

ადგილობრივი ბიუჯეტები, როგორც აღვნიშნე, საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულია 707.636 ათასი მანეთის მოცულობით, ნაცვლად საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 1939 წლისათვის მიღებული 668.302 ათასი მანეთისა, ე. ი. ზრდა შეადგენს 5,8 პროც. უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ალბათ გაეცნენ ბიუჯეტის მასალებს ცალკე რაიონების მიხედვით და ამის გამო საჭირო არ არის დაწვრილებით შევჩერდეთ მათზე.

მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა აფხაზეთისა და აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ბიუჯეტების შესახებ.

1940 წლისათვის აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტი მიღებულია 78.784 ათასი მანეთის რაოდენობით, აჭარის ასსრ-ისა — 55.887 ათასი მანეთის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა—31.620 ათასი მანეთის. რაოდენობით.

5 წლის წინათ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ბიუჯეტების მოცულობა შეადგენდა: აფხაზეთისა — 47.160,4 ათას მანეთს, აჭარისა — 28.208,0 ათას მანეთს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქისა — 12.445,0 ათას მანეთს.

როგორც აღნიშნულიდან სჩანს, აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტი 1935 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 66,8 პროც., აჭარის ასსრ-ისა 98,1 პროც., სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა—154,0 პროც., ეს ციფრები ნათლად ადასტურებენ ლენინურ-სტალინური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებას და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, კულტურის და მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელად ზრდას ამ რესპუბლიკებსა და ოლქში.

1940 წლის ბიუჯეტით სოცკულტურულ ღონისძიებების ხარჯები აფხაზეთის ასსრ-ში გათვალისწინებულია 60.856,0 ათასი მანეთით, აჭარის ასსრ-ში 41.441,0 ათასი მანეთით, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში — 21.195,0 ათასი მანეთით.

დაწყებითსა და საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე წელს ისწავლის აფხაზეთის ასსრ-ში 71.784 კაცი, აჭარის ასსრ-ში — 37.617 და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში— 31.933.

მშრომელთა ჯანმრთელობაზე 1940 წელს დაიხარჯება აფხაზეთის ასსრ-ში 19.475,2 ათასი მანეთი, აჭარის ასსრ-ში 13.261,0 ათასი მანეთი და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 5.077,5 ათასი მანეთი.

ამ რესპუბლიკებში დიდი სახსრები იქნება დაბანდებული აგრეთვე სოფლის მეურნეობის, კომუნალური მეურნეობის ხაზით და სხვ.

თითქმის ასეთივე მაჩვენებლებით ხასიათდება საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტები, რომლებიც წარმოდგენილია საქართველოს უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის დასამტკიცებლად.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს 1940 წლის ბიუჯეტის სწორი და აუცილებელი შესრულება და საბიუჯეტო სახსრების მომჭირნეობით და ეფექტიურად გამოყენება.

ანგარიშების ანალიზი, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ხაზით ჩატარებული რევიზიები გვიჩვენებენ, რომ მთელ რიგ რაიონებში დაშვებულია საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დიდი დარღვევები. ადგილი აქვს საშტატო დისციპლინის დარღვევას, გადახარჯვას უმთავრესად ადმინისტრატიულ-სამმართველო აპარატის შე-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ომი დასავლეთ ევროპაში

მოკავშირეთა ცნობები

პარიზი, 6 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო ფიქრობს, რომ უახლოეს დღეებში დიდი საომარი ოპერაციები გაჩაღდება სომისა და უაზის რაიონში. „ბრძოლა,—სწერს სააგენტო, — უნდა გაჩაღდეს იმ რაიონში, სადაც აგებულია საფრანგეთის პირველი თავდაცვითი ხაზები, რომლებიც შეჭრილია სიღრმეში. ეს ხაზები მიდის მდინარე სომის წელით, მისი შესართავიდან ამიენამდე. სომა მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა, რადგან მისი ხეობა ჭაობიანია. ქვედა სომის უკან არის კიდევ მდინარე ბრელის საკმაოდ ღრმა ხეობა, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიდის. მდინარე ბრელის სამხრეთი ნაპირი, ისე როგორც ამ რაიონის დანარჩენ მდინარეთა ნაპირები, დაფარულია ხშირი ტყით, რაც მის საჰაერო დაზვერვას აძნელებს. სომაზე, ამიენიდან იმ ადგილამდე, სადაც ამ მდინარეს კროზის არხი უერთდება, საფრანგეთის ჯარი განუწყვეტლივ აუმჯობესებდა თავის პოზიციებს. უაზის აღმოსავლეთ ნაპირზე გერმანია ანხორციელებს ერთ-ერთ ძირითად იერიშს. თუ მოწინააღმდეგე შესძლებს მდინარე ელეტის გადმოლახვას, იგი წააწყდება შემდგომს დაბრკოლებას — მდინარე ენის ქვედა წელს“.

გუშინ ოფიციალურად იუწყებოდნენ, რომ ბრძოლა, რომელიც დილით დაიწყო, გაძლიერდა ამიენის, პერონისა და ელეტის რაიონში. მოწინააღმდეგემ აამოქმედა მნიშვნელოვანი საშუალებანი, კერძოდ, ტანკები და ავიაცია. მოწინააღმდეგის იერიშები მოგერიებულია ფრონტის მთელ ხაზზე. საფრანგეთის ყუმბარმშენებმა ღამით იერიში მიიტანეს ქალაქ მიუნხენისა და ლიუდვიგჰაფენის ქარხნებზე და მანჰაიმის ვაგზალზე. მრავალ ადგილას გაჩნდა დიდი ხანძარი.

დღევანდელი დილის ცნობაში ნათქვამია: „დილით ადრე ბრძოლა განახლდა. მოწინააღმდეგე გვიტევს უმთავრესად ქვედა სომის რაიონში, სადაც ჩვენმა მეწინავე ნაწილებმა, რამდენადმე უკან დაიხიეს“.

○

ლონდონი, 6 ივნისი. რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 4 ივნისს ნაშუადღევიდან 5 ივნისის დილამდე ინგლისის დიდძალი ყუმბარმშენები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიის რაიონებს. თვითმფრინავებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ნავთსაცავებსა და რკინიგზის ხაზებს მთელ რიგ ცენტრებში დორტმუნდიდან მანჰაიმამდე.

გერმანიის ცნობები

ბერლინი, 6 ივნისი. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობაში ნათქვამია: „5 ივნისს დილით გერმანიის ჯარი ფართო ფრონტით გადავიდა შეტევაზე საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ. გადავლახეთ მდინარე სომა შესართავსა და ამს შორის, აგრეთვე უაზა-ენის არხი. ბევრგან დანგრეულია ეგრეთწოდებული ვეიგანის ხაზი, რომელიც ამ პოზიციების გადაღმა შენდებოდა“. (საკდესი).

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 6 ივნისი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის ცნობაში ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარის ნაწილებმა ახალი ტერიტორიები დაიკავეს სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით.

იმ ტყვეთა რიცხვი, რომლებიც ხელთ ვიგდეთ დიუნკერკის რაიონში, 58 ათასამდე ავიდა.

5 ივნისს გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მოწინააღმდეგის ჯარის ჯგუფებსა და კოლონებს ფრონტის ხაზის გადაღმა. გარდა ამისა, ავიაციამ ყუმბარები დაუშინა შუა საფრანგეთის რამდენიმე მნიშვნელოვან აეროდრომს, აგრეთვე შერბურგის სამხედრო-სავაჭრო ნავსადგურებს. 5 ივნისს ღამით გერმანიის ავიაცია კვლავ წარმატებით უშენდა ყუმბარებს ინგლისის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე მრავალ აეროდრომს.

მოწინააღმდეგემ გუშინ საერთოდ დაჰკარგა 143 თვითმფრინავი. გერმანიის 19 თვითმფრინავი თავის ბაზებში არ დაბრუნებულა.

5 ივნისს ღამით მოწინააღმდეგემ კვლავ დაუშინა ყუმბარები ჩრდილოეთ და დასავლეთ გერმანიის არასამხედრო ობიექტებს, მაგრამ ამ თავდასხმას მნიშვნელოვანი ზარალი არ გამოუწვევია. ამასთან ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი.

საფრანგეთის სამხედრო წრეები გერმანიის ახალი შეტევის შესახებ

პარიზი, 6 ივნისი (საკდესი). პარიზის სამხედრო წრეებში აღნიშნავენ, რომ გერმანიის სარდლობა ცდილობდა გაეძლიერებინა თავისი ძალების გადაჯგუფებისა და ტანკების რემონტის ტემპები, რათა ფრანგებისათვის შესაძლებლობა არ მიეცა გაემაგრებინათ სომა-ენის ხაზი. როგორც ამტკიცებენ, საომარი მოქმედების ადგილზე სპეციალური მატარებლებით გაიგზავნენ გერმანელი მუშები, რათა მაქსიმალურად მოკლე ვადაში აღედგინათ რაც შეიძლება მეტი სამხედრო ქონება.

სავსებით შესაძლებელია, — აცხადებენ საფრანგეთის სამხედრო წრეებში,—რომ გერმანელებს ახალი ბრძოლებისათვის მოეპოვებათ მრავალი ქვეითი დივიზია, რომელთაგან ბევრს ჯერ კიდევ არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში, შესაძლებელია, რომ გერმანელებმა შეადგინეს ფრონტის გამრღვევი ახალი კორპუსი (ჯავშნოსანი და მოტორიზებული დივიზიები); ასეთი კორპუსის თვითეული დივიზია შეიცავს მზვერავ მოტორიზებულ რაზმს, რომელიც ჯავშნიან ავტომობილთა ორი ასეულისა და მოტოციკლისტთა ერთი ასეულისაგან შესდგება, სატანკო ბრიგადას, რომელშიაც არის 500-დან 600-მდე ტანკი, მსროლელთა მექანიზებულ ბრიგადას მსროლელ მოტოციკლისტთა ბატალიონის, მოტორიზებული არტილერიის პოლკის, ქვეითი ჯარის, პონტონერების, ტელეფონისტების, რადისტების და სხვ. შემადგენლობით.

რაც შეეხება გერმანიის შეტევის მიმართულებას, პარიზში ამტკიცებენ, რომ ეს იქნება პირდაპირი შეტევა პარიზზე მთელი მატერიალური რესურსებისა და საბრძოლო მანქანების გამოყენებით. საფრანგეთის სამხედრო წრეებში კითხვაზე, ჩატარდება თუ არა ეს შეტევა გერმანელების ორმაგი უპირატესობის პირობებში: მოულოდნელობისა და მინიმალური წინააღმდეგობის პირობებში, — უარყოფითად უპასუხებენ. იმისთვის, რომ პარიზზე პირდაპირმა შეტევამ გავლენა მოახდინოს ომის შედეგზე, საჭიროა, რათა მან სავსებით გაანადგუროს არა მარტო პარიზის დამცველი ძალები არამედ საფრანგეთის არმიის ყველა დანარჩენი ნაწილებიც. ამ ამოცანის გადაჭრა არც თუ ისე ადვილია.

მდგომარეობა იტალიაში

ნიუ-იორკი, 5 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, იტალიის მინისტრთა კაბინეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება დამატებითი საომარი მზადების შესახებ, მაგრამ კომუნიკეში აღნიშნული არ არის ომში იტალიის ჩაბმის თარიღი. დიდი ფაშისტური საბჭოს სხდომა, რომელიც დანიშნული იყო 4 ივნისისათვის, გადაიდო. მთავრობის დეკრეტების თანახმად, სამოქალაქო მოსახლეობაში გასატარებელი სამობილიზაციო ღონისძიებანი კოლონიებზედაც ვრცელდება. რომში გამოცხადდა, რომ კარაბინერები სპეციალურ რაზმებს ჰქმნიან პარაშუტისტებთან საბრძოლველად, რომლებიც შეიძლება გადმოსხმულ იქნან იტალიაში. იტალიური პრესა კვლავ თავს ესხმის საფრანგეთსა და ინგლისს. „ლავორო ფაშისტა“ აცხადებს, რომ „იტალიას უფლება აქვს კორსიკასა, მალტასა, სავოიასა, ნიცასა და ტუნისზე“. გაზეთი მოითხოვს რათა იტალიის გემებს სუეცითა და გიბრალტარით თავისუფალი მიმოსვლის უფლება მიეცეთ. „ჯორნალე დ' იტალია“ სწერს, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს იტალიის საწინააღმდეგო კამპანიას ეგვიპტეში.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ ცნობით, რომში მცხოვრებ ფრანგ და ინგლისელ მოქალაქეებს უკვე 10 დღეა არ შეუძლიათ მიიღონ იტალიიდან გასვლის ვიზა. ერთ ინგლისელს განუცხადეს, რომ ის და სხვა ინგლისელები დაკავებული იქნებიან, როგორც გადასაცვლელი მძევლები იმ შემთხვევისათვის, თუ იტალია ომში ჩაება.

ინტერნეიშენელ ნიუს სერვისის სააგენტო იუწყება, რომ, დაუდასტურებელი ცნობებით, იტალიის არმიის ყველა ოფიცერმა და ჯარისკაცმა ბრძანება მიიღო თავიანთ პოსტებზე იყვნენ 16 ივნისს.

ლონდონი, 5 ივნისი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ გადმოგვცემს, რომ აბისინიაში ამჟამად საყოველთაო მობილიზაცია ტარდება. იქ მყოფი იტალიელი ოფიცრები აცხადებენ: „ჩვენ ბრძანებას მოველით“. რკინიგზის, აგრეთვე სუდანისა და კენიის საზღვრის გასწვრივ ჯარის ნაწილები იმყოფებიან, რომლებსაც თავიანთ განკარგულებაში აქვთ ავტოტრანსპორტი და მსუბუქი არტილერია. ერთ-ერთ საზღვრისპირა პუნქტში თავმოყრილია ტანკები. ჯიბუტში ხმა დადის, ამ კვირას იტალია ომში ჩაებმებაო.

გაზეთი სწერს, რომ იტალიელთა მდგომარეობა აბისინიაში საიმედო არ არის. ჯარის ზოგიერთ ნაწილში, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგება, ამბოხება მოხდა.

იტალიის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებანი

ბერლინი, 4 ივნისი (საკდესი). რომიდან მიღებულ ცნობაში, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „ნახტაუსჰაბეში“, ნათქვამია, რომ დღეს შეიკრიბა იტალიის მინისტრთა საბჭო მუსოლინის თავმჯდომარეობით. მუსოლინის წინადადებით მიღებულ იქნა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დაწესებულებებს შეუძლიათ ქალთა პერსონალით შესცვალონ არმიაში გაწვეული პირნი. მიღებულია აგრეთვე კანონპროექტი ნაციის ორგანიზებისა ომის დროს, რაც აგრეთვე ზღვისპირა ოლქებზედაც ვრცელდება. მიღებულია კანონი უმკაცრესი დისციპლინისა ყველა სამხედრო საწარმოში. საზღვაო სამინისტროს მითითება მიეცა — არ დაუშვას ფასების გადიდება გემების აშენების დროს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწყობების ასაგებად გადადებულია 400 მილიონი ლირა.

მიღებულია მთელი რიგი ზომები სურსათის რაციონირებისათვის.

რუზველტის მიმართვა მუსოლინისადმი

ნიუ-იორკი, 5 ივნისი (საკდესი). როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღნიშნავს ზოგს კიდევ იმედი აქვს, რომ იტალია ომში არ ჩაებმება. ამას მოწმობს რუზველტისა და მუსოლინის შორის არსებული კონტაქტი. როგორც გამოირკვა, 4 ივნისს რუზველტმა კვლავ მიჰმართა მუსოლინის. პრეზიდენტი, — სწერს გაზეთი, — არწმუნებდა მუსოლინის არ გაევრცელებინა ომი სხვა ზონებზე. რუზველტის მიმართვა უარყოფილ იქნა ზრდილობიანი ფორმით. ფიქრობენ, რომ რუზველტის წინადადება ამჯერად უფრო კონკრეტული იყო“.

იტალიამ დანაღმა თავისი ტერიტორიული წყლები

ნიუ-იორკი, 6 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, იტალიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იტალიის მთელი სანაპიროს ირგვლივ შექმნილია გემებისათვის საშიში 12-მილიანი ზონა. იუნაიტედ პრესის სააგენტოს აზრით, ეს განცხადება მოწმობს, რომ იტალიის მთელი ტერიტორიული წყლები დანაღმულია. იტალიისა და ალბანეთის ნავსადგურებში, აგრეთვე იტალიის კოლონიების ნავსადგურებში მიმავალი გემები უნდა შეეკითხონ ხოლმე ლოცმანს.

საჰაერო ბრძოლა გერმანიისა და შვეიცარიის თვითმფრინავებს შორის

ბერლინი, 5 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობის თანახმად, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წრეებში დღეს პრესის წარმომადგენლებს დაუდასტურეს რომ გერმანიისა და შვეიცარიის თვითმფრინავებს შორის მოხდა საჰაერო ბრძოლა. „გამორკვეულია, — იუწყება ბიურო, —რომ შვეიცარიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს გერმანიის თვითმფრინავების წინააღმდეგ საფრანგეთის ტერიტორიაზე; ამასთან მათ ჩამოაგდეს გერმანიის ერთი თვითმფრინავი. ამის შემდეგ მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა შვეიცარიის ოთხი თვითმფრინავი. ამ ინციდენტთან დაკავშირებით სწარმოებს დიპლომატიური მოლაპარაკება.

ნიუ-იორკი, 5 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, შვეიცარიის არმიის კომუნიკეში ნათქვამია, რომ გერმანიისა და შვეიცარიის თვითმფრინავებს შორის მოხდა ბრძოლა ნიუ-შატელთან. შვეიცარიის ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა, მფრინავი დაიღუპა. გერმანიის 2 ან 3 თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა და საფრანგეთის ტერიტორიაზე დაეცა.

დიდი საავიაციო მშენებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 6 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, სენატმა მოიწონა კანონპროექტი ამერიკის საზღვაო ავიაციის 10 ათას თვითმფრინავამდე გადიდებისა და 16 ათასი მფრინავის მომზადების შესახებ, აგრეთვე საჰაერო და საზღვაო ბაზების მშენებლობისათვის 144 მილიონი დოლარის გაღების შესახებ. სააგენტო აღნიშნავს, რომ ამ ცოტა ხნის წინათ წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა ასეთივე კანონპროექტი.

გენერალი მიტელჰაუზერი ანკარაში

ანკარა, 6 ივნისი (საკდესი). ანკარაში ჩამოვიდა საფრანგეთის გენერალი მიტელჰაუზერი, რომელიც ვეიგანის ნაცვლად არის დანიშნული ახლო აღმოსავლეთში. გენერალი მიიღო თურქეთის პრეზიდენტმა. 6 ივნისს მიტელჰაუზერი ბეირუთს ბრუნდება.

ნიუ-იორკი, 6 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო სტამბოლიდან გადმოგვცემს, გაზეთი „ლა რეპუბლიკი“ იუწყება, რომ ინგლის-საფრანგეთის ჯარების სარდალი ახლო აღმოსავლეთში გენერალი მიტელჰაუზერი ანკარაში თურქეთის არმიის შტაბის უფროსს მარშალ ჩაკმაკს ესაუბრა.

ისმეთ ინენიუს ჩასვლა სტამბოლში

ანკარა, 7 ივნისი (საკდესი). ანატოლიის სააგენტო გადმოგვცემს, რომ სტამბოლში ჩავიდა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ისმეთ ინენიუ.

ნიუ-იორკი, 7 ივნისი (საკდესი). [illegible]

ნიუ-იორკი, 7 ივნისი (საკდესი). [illegible]

ბელორუსული ხელოვნების დეკადის გახსნა მოსკოვში

საოპერო სპექტაკლ „მიხას პოდგორნის“ დიდი წარმატება.

მოსკოვი, 5 ივნისი (საკდესი). დღეს სსრ კავშირის დიდ თეატრში განსაკუთრებული წარმატებით გამოვიდა ბელორუსიის სს რესპუბლიკის ოპერისა და ბალეტის დიდი სახელმწიფო თეატრი. მან ბელორუსული ხელოვნების დეკადა გახსნა ოპერა „მიხას პოდგორნის“ ჩვენებით. ამ ოპერის მუსიკა დაწერილია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ე. კ. ტიკოცკის მიერ, ხოლო ლიბრეტო—პოეტ პ. ბროვკას მიერ.

ოპერის მოქმედება მოიცავს იმპერიალისტური ომის დასასრულისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეების პერიოდს. პირველმა ნაციონალურმა ბელორუსულმა ოპერამ თავისი ღრმა სიმართლითა და გულშიჩამწვდომი უბრალოებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსკოველებზე.

უკანასკნელი ცნობები

რეინოს გამოსვლა

პარიზი, 7 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ პრემიერმა რეინომ რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა; ლაპარაკობდა რა, რომ ასობით გერმანიის თვითმფრინავი თავს დაესხა პარიზს „პანიკის გამოწვევის მიზნით“, მან განაცხადა: „ჩვენს ქვეყანაში მორალური სულისკვეთება არ შერყეულა. ჩვენ დარტყმას დარტყმითვე ვუპასუხეთ, ინტენსიურად დავუშინეთ ყუმბარები რურის ოლქის მნიშვნელოვან პუნქტებს და გერმანიის მთელ რიგ სხვა ინდუსტრიულ ცენტრებს—ჰესენს, დორტმუნდს, ფრანკფურტს, დიუსელდორფს, მანგეიმს, მიუნხენსა და სხვ. ასეთსავე პასუხს გავცემთ მომავალშიაც საფრანგეთის ქალაქებზე ყოველ საჰაერო თავდასხმას“.

შეეხო რა ახლანდელ ბრძოლებს, რეინომ აღნიშნა: „გერმანიამ აამოქმედა ყველა ის საშუალებანი, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია. ავიაცია და ჯავშანსატანკო დივიზიები ერთხელ კიდევ ცდილობენ ჩვენი ფრონტის გარღვევას. ფრონტზე, სადაც ჩვენ იძულებული ვართ წინააღმდეგობა გავუწიოთ მტერს, ჩვენი არმია გვიჩვენებს, რომ იგი ეგუება ომის წარმოების ახალ პირობებს. ბრძოლების დაწყების დროიდან მოსპობილია მტრის ასობით ტანკი, და მოკავშირეთა ავიაცია დახმარებას უწევს ჩვენი ჯარის მოქმედებას“.

რეინომ აღიარა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა თავის დროზე ვერ გამოიჩინეს „საკმაო გამჭრიახობა და სამხედრო მნიშვნელობის იდეები მეტისმეტად იყო მივიწყებული“.

დასასრულ რეინომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომელთანაც საფრანგეთს არ შეეძლოს მშვიდობიანი გზით მოაგვაროს უთანხმოებანი და ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესები“ და განაცხადა, რომ საფრანგეთი „ამჟამად უფრო მეტად არის დარწმუნებული თავისი იარაღის ძლიერებაში, ვიდრე იგი ოდესმე ყოფილა“.

ომი დასავლეთ ევროპაში

მოკავშირეთა ცნობები

ლონდონი, 7 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ პარიზიდან მიღებული ცნობებით, გერმანელები განაგრძობენ შეტევას 200 კილომეტრიან ფრონტზე აბვილიდან მდინარე ენამდე. გუშინ, მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა ბრძოლაში ჯარის დიდძალი ნაწილები გამოიყენეს, საფრანგეთის ჯარმა შეინარჩუნა თავისი პოზიციები ცენტრში. ფლანგებზე — სომის ქვედა დინებასთან — ელეტის არხის რაიონში, მტერმა რამდენიმე მილით წაიწია წინ. საფრანგეთის სამხედრო წრეების წარმომადგენლის განცხადებით, საფრანგეთის თავდაცვითი პოზიციები დიდ სიღრმეზეა განლაგებული. ამიტომ საჭიროა ერთმანეთისაგან იქნას განსხვავებული მტრის შეჭრა საფრანგეთის ჯარის ნაწილების განლაგებაში და თავდაცვის ხაზის გარღვევა. არსებული ცნობების თანახმად, გერმანელებმა ბრძოლაში 2 ათასზე მეტი ტანკი გამოიყენეს. მოსპობილია რამდენიმე ასი ტანკი.

პარიზი, 7 ივნისი (საკდესი). სამხედრო მიმომხილველთა განცხადებით, გერმანელები უმთავრესად უტევენ ამიენის, პერონის, ამის, ნელის, ელეტისა და შმენ-დე-დამის მიმართულებით. ყველაზე ძლიერი იერიშები მიჰქონდათ ამიენისა და პერონის სამხრეთით და ელეტის (სუასონის ჩრდილოეთით) სამხრეთით.

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 7 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის შემდეგს ცნობას: „გერმანიის არმიისა და ავიაციის ოპერაციები სომისა და ენ-უაზის არხის სამხრეთით გეგმაშეზომილად და წარმატებით ვითარდება. „ვეიგანის ხაზი“ გარღვეულია მთელ ფრონტზე. 6 ივნისს ღამით გერმანიის თვითმფრინავებმა კვლავ წარმატებით დაუშინეს ყუმბარები ინგლისის აეროდრომებს და უვნებლად დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროსთან ჩასძირეს მტრის სატორპედო კატარღა.

6 ივნისს მტერმა ჰაერში დაჰკარგა: 74 თვითმფრინავი, აქედან 64 თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა საჰაერო ბრძოლის დროს, 10 თვითმფრინავი ჩამოგდებულია საზენიტო არტილერიის მიერ. თავის ბაზებში არ დაბრუნებულა გერმანიის 3 თვითმფრინავი. გერმანიის თვითმფრინავებმა ინგეს კუნძულზე, გამერფესტის ჩრდილოეთით, მოსპეს ნორვეგიის რადიოსადგური“.

იტალიის პრესა დასავლეთ ევროპაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

რომი, 7 ივნისი (საკდესი). გაზეთები ვეებერთელა სათაურებით იუწყებიან, რომ მდინარე სომაზე 15 კილომეტრზე გარღვეულია საფრანგეთის ხაზი და რომ გერმანელები უტევენ პარიზს კომპიენზე გავლით, ამასთან გაზეთები წინასწარმეტყველებენ, რომ პარიზი ერთი კვირას შემდეგ აღებული იქნებაო.

თეთრპოლონელებისაგან ჟიტომირის განთავისუფლების 20 წლისთავი

ჟიტომირი, 5 ივნისი (საკდესი). 1920 წლის 26 აპრილს თეთრპოლონელებმა ხელთ იგდეს ჟიტომირი. ისინი ხვრეტდნენ მუშებსა და გლეხებს, ცოცხლად მარხავდნენ მათ, მცხოვრებლებიანად სწვავდნენ სახლებს.

მაგრამ ვერაფერმა ვერ გასტეხა მშრომელთა რევოლუციური სულისკვეთება. ჟიტომირის მუშები ამზადებდნენ იარაღს, მოუთმენლად ელოდნენ წითელი არმიის მოსვლას. 1920 წლის 7 ივნისს პირველმა ცხენოსანმა არმიამ გაარღვია თეთრპოლონელთა ფრონტი, მისმა მოწინავე ნაწილებმა გარეკეს ჟიტომირიდან თეთრპოლონელები და დაიკავეს ქალაქი.

ჟიტომირის მშრომელნი ფართოდ აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. ოლქის ქარხნებში, ფაბრიკებში, სასწავლებლებსა და კოლმეურნეობებში იმართება საუბრები წითელი არმიის ბრძოლის შესახებ თეთრპოლონელების წინააღმდეგ. საოლქო ისტორიულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, მიძღვნილი ამ ღირსშესანიშნავ თარიღისადმი. მრავალი დოკუმენტი და ფოტომონტაჟი ასახავს პირველი ცხენოსანი არმიის გმირულ გზას, არმიისას, რომელმაც ამხანაგი სტალინის, ვოროშილოვისა და ბუდიონის ხელმძღვანელობით გაანადგურა მტრის ურდოები.

„პატარა კახი“ მოზარდმაყურებელთა თეატრში

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი 9 ივნისს სდგამს ახალ პრემიერას—აკაკი წერეთლის პიესას „პატარა კახი“. სპექტაკლს სდგამს თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. თაყაიშვილი. მხატვრული გაფორმება—მ. თავაძისა, მუსიკა—ვ. შავერზაშვილისა. მთავარ როლებში მონაწილეობენ: ი. ნინუა, ა. კაჭკაჭიშვილი, გ. დარისპანაშვილი, ა. ყიასაშვილი, ნ. გვარაძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ღვინიაშვილი და სხვ.

სპექტაკლი ნაჩვენები იქნება აბონემენტს გარეშე.

განსახკომის ლექტორიუმში

8 ივნისს განსახკომის ლექტორიუმში (საქ. მუზეუმის აუდიტორია) შესდგება პროფ. მ. გოგიბერიძის მორიგი ლექცია თემაზე: „მოძღვრება საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა შესახებ“. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „დაისი“, რუსთაველის სახელობის—„გრაფის ქვრივი“, მარჯანიშვილის სახელობის—„ყვარყვარე თუთაბერი“, სახესტრადის საზაფხულო თეატრი — „მოსკოვში სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილეთა სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლის უკანასკნელი საღამო განახლებული პროგრამით, ღია ესტრადა — ესტრადის მსახიობთა საღამო-კონცერტი.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „მანერჰაიმის ხაზი“, ოქტომბერი — „მანერჰაიმის ხაზი“, დამკვრელი (საზაფხულო)— „მანერჰაიმის ხაზი“, დამკვრელი (ზამთრის) —„მანერჰაიმის ხაზი“, კომკავშირელი (საზაფხულო) — „მანერჰაიმის ხაზი“, კომკავშირელი (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო“, ლუქსემბურგის სახ. — „დაგვიანებული სასიძო“, კომინტერნი — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, 26 კომ. სახ. (საზაფხულო) — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“, 26 კომ. სახ. (ზამთრის) — „კენდლილიარ“, ორჯონიკიძის სახ. პარკი —„ალმასის ხეობა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ამხ. კ. ციმაკურიძის მოხსენების დასასრული

ნაზხი ხარჯების და სახსრების უმომჭირნეო გამოყენების ფაქტებს.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ეს ნაკლოვანებანი 1940 წელს აუცილებლად უნდა იქნეს აღმოფხვრილი.

ორიოდე სიტყვა სასოფლო საბჭოების ბიუჯეტის შესახებ. სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების შედგენას და, რაც მთავარია, მის შესრულებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, როგორც რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, ისე საფინანსო ორგანოების მხრით.

სასოფლო საბჭოების ბიუჯეტები დროულად არ სდგება, თვით სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები ნაკლებად არიან დაინტერესებულნი თავიანთი ბიუჯეტების შედგენით, არ ღებულობენ ბიუჯეტის შედგენაში უშუალო მონაწილეობას, და სხვ. ეს გარემოება, თავისთავად ცხადია, გავლენას ახდენს სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების შესრულებაზე. ეს ბიუჯეტები სრულდება დიდი დარღვევებით, რასაც ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებმა ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ. ამ დარგის დღემდე არსებული შეუფასებლობა უნდა აღმოიფხვრას. საჭიროა სასოფლო საბჭო თვითონ ადგენდეს თავის ბიუჯეტს, ამტკიცებდეს ამას მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებული ბიუ- [illegible]

საკავშირო მთავრობამ ამ სტიქიურ უბედურებათა შედეგების სალიკვიდაციოდ და დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გამოჰყო საკავშირო სახკომსაბჭოს სარეზერვო ფონდიდან 15 მილიონი მანეთი, ამავე დროს ნება დაგვრთო ჩვენ ბიუჯეტიდან გავიღოთ დამატებით 7.700 ათასი მანეთი; სულ 22.700 ათასი მანეთი.

დასამტკიცებლად წარმოდგენილ ბიუჯეტში ეს თანხები ასახული არ არის, და დამატებით ეძლევა რაიონებს. ამ თანხებიდან მიწისძვრისაგან დანგრეული სკოლების აღსადგენად გაცემული იქნება 4.612 ათასი მანეთი, დანარჩენი კი გამოყენებული იქნება დაზარალებული მოსახლეობისათვის ერთდროული დახმარების მისაცემად და საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მეურნეობის აღსადგენად.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ჩვენი სახალხო მეურნეობის კულტურისა და მშრომელთა შემდგომი გაუმჯობესების აღმავლობის მნიშვნელოვანი დოკუმენტია.

ბრძოლა ბიუჯეტის შესრულებისათვის ნიშნავს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლას. [illegible]

XVIII პარტიული ყრილობის იმ ძირითადი ამოცანის განხორციელების საქმეში, რომ „ეკონომიურადაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპის ყველაზე უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს და ამერიკის შეერთებულ შტატებს“.

საბჭოთა და სამეურნეო, და პირველ რიგში საფინანსო ორგანოების მუშაკებმა ბიუჯეტის შესრულებას ბოლშევიკებისათვის დამახასიათებელი სიმტკიცით და ენტუზიაზმით უნდა მოჰკიდონ ხელი, ყოველდღიურად უნდა იბრძოლონ საფინანსო მეურნეობის ყველა უბანზე იმისათვის, რომ 1940 წლის ბიუჯეტი ყველა თავის დარგში შესრულებულ იქნას წარმატებით — შესრულებულ იქნას ისე, როგორც ამას ჩვენი ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოითხოვენ.

უდავოა, რომ საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, აღზრდილნი ბრძოლისა და მუშაობის სტალინურ ტრადიციებზე ქართველი ხალხის საუკეთესო შვილის ამხ. **ლავრენტი ბერიას** მიერ, უზრუნველჰყოფენ 1940 წლის ბიუჯეტის წარმატებით შესრულებას და ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და აყვავებას.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა ურღვევ კავშირს! (ტაში).

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილს, საბჭოთა დაზ- [illegible]

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი პლეხანოვის პროსპ. 123, ტელ. 3-18-59

საზაფხულო თეატრი
8 ივნისს
მოსკოვში სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილეთა
სიმღერების და ცეკვების ანსამბლის
უკანასკნელი საღამო განახლებული პროგრამით.

9, 10 ივნისს
ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატის
ქეთო ჯაფარიძის
უკანასკნელი საღამოები.
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წუთზე.
დარჩენილი ბილეთები ბაღის სალაროში. სალარო ღიაა დილ. 11-დან 3 საათამდე, საღ. 6-დან 10 ს-მდე.

ღია ესტრადა
ყოველდღე ესტრადის მსახიობთა საღამო-კონცერტი
დასაწყისი 10 საათზე.
ბაღში უკრავს ჯაზ-ორკესტრი ამდურის ხელმძღვანელობით. ღია ესტრადაზე შესვლა ბაღში შესასვლელი ბილეთებით.

მალე
ნიკოლოზ გლეიზაროვი
ადამიანი ელვა
დაწვრილებით აფიშებში. 70

დედა ნინო, ქმარი საშა, შვილი ვაჟიკო, ძმა კანტი, და ნასტია იუწყებიან
მერი გეგეჭკორის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/VI სოფ. შილდაში (ყვარლის რ.)

თბილისის მოზრდილთა XI საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სკოლის დირექტორის აპოლონ ნარჩემაშვილის ძმის
ვიქტორის
გარდაცვალებას. 6652

ჯანელიძე, კვანტალიანი, ჯაფარიძე, ბურჭულაძე, გოროშიძე, ნიქაბაძე, რუხაძე, ხობუა, იზორია, ლორია, შენგელია, ხანანაშვილი, წულუკიძე, მელიქიშვილი იუწყებიან
ვლასი ილარიონის-ძე ძაგნიძის
გარდაცვალებას. 6692

კოჯორის ბავშვთა ახალშენის დირექცია და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ამავე ახალშენის № 1 საბავშვო სახლის გამგის გოგუცა ახვლედიანის დის
კატუშა ახვლედიანის
გარდაცვალებას. 6694

[illegible]
გარდაცვალებას. 6699

[illegible]
ვალია ფილიპის-ძე მახარაძის
გარდაცვალებას. 150

საქ. რადიოკომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ორგანიზაციის თანამშრომლის თამარ არჩილის-ასულ მოდებაძის დედის
ანა ანდრიას-ასულ ნადარეიშვილის
გარდაცვალებას. 6696

წაღვერის სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ინჟინერ-მეტყევე ანდრო თაბაგარის მეუღლის
ექიმ კატუშა ახვლედიანი-თაბაგარის
გარდაცვალებას. 6678

ვერა, შუშანა, გოგუცა, ეორჯიკა ნადარეიშვილები, ცაციკო დადიანი იუწყებიან დედის და ბებიის
ანა ნადარეიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 8/VI 5½ ს. კალინინის, 16 6690

მიქელაძე, ფარცხალაძე, ხომასურიძე, დღუშელი, შენგელია, ბესელაშვილი, ჩაჩანიძე, ჯუჯუა, კვინტრაძე, კუტალაძე, ნინიძე, იუწყებიან
კოლია ჩერნიშევის
გარდაცვალებას. [illegible]

[illegible]
გარდაცვალებას. 6695

[illegible]
ვლასი ილარიონის-ძე ძაგნიძის
გარდაცვალებას. 6691

სკუპურა ფერაძე, კატუშა ბაქრაძე და შურა კაპანაძე ოჯახებით იუწყებიან მეგობრის ექიმ
კატუშა ახვლედიანი-თაბაგარის
გარდაცვალებას. 6675

ხარაძე, ჭანიშვილი, კოჭლაშვილი, თავაძე, სვანიძე, სიჭინავა, აქბარდია, ალფაიძე, იარალოვი, ქუმსიშვილი, ასლანიკაშვილი, თოხაძე, მანაგაძე, თანაუგრძნობენ გრიშას ძამის
ესე თალაკვაძის
გარდაცვალების გამო. 6672

ჯაფარიძე, ილურიძე, ჩარხნაშვილი, მაკარევსკაია, კეზელი, სოლოღაშვილი, კობერიძე, ანელი, კანდელაკი, ვასილევსკაია, მათიკაშვილი, სხირელი, კუტალაძე, ჩუბინიძე, იაცენკო, ხიდაშელი თანაუგრძნობენ მელო პრელაშვილს
ვასო ძაგნიძის
გარდაცვალების გამო. 6649

[illegible]
ტატიანას
გარდაცვალებას. 6622

[illegible]
გარდაცვალებას. [illegible] 8/VI [illegible] 34. გამოსვენება 9/VI 6 ს.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-69-67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3-06-89, განყოფილებებისა: პარტიულის—3-57-61, [illegible]—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-73-40, [illegible] 3-?1 65, [illegible]—3-80-83, [illegible]—3-80-84, წერილებისა—3-73-24, [illegible] გამომცემლობის—3-51-61, სტამბის დირექტორის—3-77-70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—1436